

190
1927/2

ព្រៃនជាតិ



6.2

1927 ការប្រជាធិបតេយ្យ នគរាល់ខ្មែរ

No 1

შ ი ნ ა ს რ ს ტ:

	88.
1. ლენინის გზით—ლექსი—კ. ლორთქიფანიძის	1
2. რას გვასწავლიდა ლენინი —ნოვინის	2
3. ლენინი და ლი-ჩანი—ლექსი—მაპპის	4
4. სამი წელი ულენინლდ—მ. ცქვიტინიძის	4
5. ილიჩის სიცოცხლის გარიერაჟი—აროსევეგის	6
6. სილვერი—ე. ზოლას	10
7. ჩინგ—ალ-რინგ—დ. ანთაძის	14
8. ზამთარი—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის	17
9. კარლ ლიბკნეხტი—შ-ის	17
10. ქოხ-სამკიოთხველო და პიონერები—შანის	19
11. ჩვენი ცხოვრება	20
12. შეისწავლეთ ოქვენი მხარე—რედაქცია	21
13. ბავშთა შემოქმედება	22
14. სკოლის მოწაფეთა ორგანიზაციას (მოწოდება)	23
15. მეცნიერება და ტეხნიკა	24
16. გასართობი

329.15 3 (05)

3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იუდ მზრდ!
გენერალური სამსახური

ბიბი ბაბი

1927

15 იანვარი

განათლების სახალის კომისარიაციის სოციალური აღმრის მთავრმართ-
თაულაშის გა საძართვულოს მ. კ. ტ. ცენცრალური ბიუროს (საქ. ა. ლ.
კომისაზორის ცენცრალური აუტორი) ქუთხით ბაზებისათვის

წელიწადი II
№ 1

140-1927/2

ღ მ ი ნ ი ნ ი ს გ ზ ი ნ ი

დღეს შეგვიწყდება წუთით ღიმილი,
თვალს სიხარული გაეპარება:

დღეს მესამეჯერ მძაფრი ტკივილით
ჩვენი გულები დაიფარება.

და ეს წუთები მეტი სიმტკიცით
შეჰქავს პარტიის მეომარ კუნთებს:
დღეს კიდევ ერთხელ იქნება ფიცი,
რომ შენს გზას ძლევის კოცონს ავუნთებთ.

რა შეაჩერებს მშრომელთ ნაღარას,
რა მოადუნებს მებრძოლთა მკლავებს!

შენი სახელი ნორჩის და ჭალარას
ფილიერებით აუკსებს თვალებს.

* ტკივილის როგორც სალი კლდე შეურყყელად
ვდგრებთ კომუნის კედლებთან ისევ,
შრომის სამეფოს, ახალ ქვეყანას

ჩვენ მივაქანებთ ელვარე მზისკენ.

გზა ცეცხლიანი კიდევ წინ არის.

ვინ სოქვა, ბრძოლები ჩვენი გათავდა!
რევოლუციის შესაწირავად
„შუდამ მზადა ვართ“, „მუდამ მზადა ვართ“.

კ. ლორთქიფანიძე.





3 წლის ლენინი თავის და ანას-
თან ერთად.



ლენინი - გიმნაზიელი.



ლენინი უნივერსიტეტში შესვლის
დღის (1885 წ.).



ლენინი 1891 წ.

რს გვასტავლიდა ლენინი.

ლენინი მთელი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის რევოლუციონერ მოძრაობას. ლენინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მუშათა კლასის ნამდვილი პროლეტარიული ბოლშევიკური პარტია, რომელიც დღეს სათავეში უდგას საბჭოთა კავშირში სოციალისტურ აღმშენებლობას და მთელს მსოფლიოში მუშათა რევოლუციონერ მოძრაობას. ლენინის ცხოვრება არის რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონერი ბრძოლის ისტორია. მისი ხელმძღვანელობით პირველად გაიმარჯვა მთელს მსოფლიოში რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც დღეს ვანგრძობს ახალი, კომუნისტური, საზოგადოების შექმნას. ლენინი ასწავლიდა მუშათა კლასის არა მარტო მას, თუ როგორუნდა იბრძოლოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არავედ მასაც, თუ როგორ უნდა შექმნას ახალი წყობილება ბურჟუაზიის დამარცხების შემდეგ. ლენინს რომად სწამდა მუშათა კლასის ძალა, მას ღრმად სწამდა, რომ მუშათა კლასი ისეთი ძალა, რომელმაც უნდა დაამსხვრიოს ბურჟუაზიული წყობილება და დამყაროს კომუნიზმი, სადაც არ იქნებიან არც მდიდრები, არც ღრიბები, არც მხიგვრელები და არც ღაჩავრულები. ლენინს ერთხელ აღებული მიზნისთვის არასდროს არ უღალიტნია, ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

მოზარდ თაობას ლენინი განსაკუთრებულ უურადღებას აქცივდა, ის მოზარდ თაობაში ხედავდა იმ ძალას, რომელმაც უნდა დაივირგინოს ურჩოსების მიერ დაწყებული საქმე. ის რას ლაპარაკობს ამის შესახებ: „ის თაობა, რომლის წარმომადგენლები 50 წლისა არიან, უნდა გიფიქროთ, ვერ ნახავს კომუნისტურ საზოგადოებას, მანამდის ეს თაობა ვერ მიაღწევს, ის თაობა კი, რომელიც დღეს 15 წლისაა, კიდევ ნახავს და თვითონვე შექმნის ამ საზოგადოებას და მან უნდა იცოდეს, რომ მთელი ამოცანა მისი ცხოვრებისა არის შექმნა ამ საზოგადოებისა“. ლენინის ეს სიტყვები ყოველ ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ რაც შეიძლება მეტი გავაკეთოთ იმისთვის, რომ განვახორციელოთ ლენინის ანდერძები. კომუნისტური საზოგადოების შექმნა, როგორც ლენინი გვასწავლის, არ შეიძლება მოხდეს ერაბაზად, არამედ მას ესაჭირება ხანგრძლივი მუშაობა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა პირობებში გვიხდება ჩვენ ეს მუშაობა. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს. საბჭოთა ხელისუფლება არსებობს დედამიწის ერთ მეექვსედზე. დანარჩენ ხუთ მეექვსედზე ჯერ კიდევ არსებობს ბურჟუაზიული წყობილება. მთელი ქვეყნის ბურჟუაზი ვერ ითმენენ მას, რომ ჩვენს კავშირში მუშარი მთავრობა არსებობს. ისინი ცდილობენ ჩვენს დამარცხებას. მათ ჰყავთ ისეთი ლაქები, როგორც არიან მენშევიკები.

ლენინი გვასწავლის ვაწარმოოთ სასტიკ ბრძოლა მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ, დაწყებული კაპიტალისტებისაგან და გათავებული მენშევიკებით და ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებით.

დღეს ბურუუაზიულ ქვეყნებში სწარმოებს გააფთრებული რევოლუციონური ბრძოლა, რომელსაც წინ უძლვება ლენინის ხელ-მძღვანელობით დაარსებული კომუნისტური ინტერნაციონალი.

სხვა ქვეყნის მუშათა კლასი აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან ამას გეოგრანახებს თვით დღევანდები ცხოვრების აუცილებლობა, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ გავამაკროთ, დავეხმაროთ ამ ბრძოლებში სხვა ქვეყნის მუშებს, ამასთანავე განვაკრძოთ და გავამტკუცოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა და ვიდგეთ სადარაჯოზე მოპოებული თავისუფლების დასაცავად.

ჩვენი მონაწილეობის მიღება სოციალისტურ აღმშენებლობაში მაშინ იქნება ნაყოფიერი და შედეგებს მაშინ გამოიღებს, როდესაც გვეცადინება, თუ როგორ უნდა ვაშენოთ ეს ახალი წყობილება, ამისათვის კი უნდა ვისწავლოთ, თუ როგორი აზრისაა ამის შესახებ ლენინი: „რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა დაგისახოთ ამოცანად: პირველად — სწავლა, მეორედ — სწავლა, მესამედ — სწავლა, შემდეგ შევამოწმოთ, ეს სწავლა მარტო ფრაზებად ხომ არ დარჩა“. ე. ი. უნდა შევამოწმოთ, ჩვენ რაც ვისწავლეთ, ის გამოვიყენეთ თუ არა ცხოვრებაში.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლების ისტორია მისთვის, რომ ვიცოდეთ, თუ როგორ მიაღწია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა გამარჯვებას, რომ გვექნეს ბრძოლებისთვის გამოცდილება.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ არა მარტო წიგნებით, არამედ საზოგადოებრივ სამუშაოზე პრაქტიკული მუშაობითაც, დავეხმაროთ მუშებს და გლეხებს. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ბუნების კანონები, რომ დავიცყროთ ბუნების ძალები და წავმართოთ ისინი ჩვენი სახალხო მეურნეობის სასარგებლობა.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები, რომ ვიბრძოლოთ საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ჩვენი სწავლა დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობასთან, უნდა ვიყენებდეთ მას ცხოვრებაში, უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები, რომ გამარჯვება უცოდინარი ხალხით არ შეიძლება. უნდა ვეცადოთ მოესპონ უვიცობა, სიბრძე, უნდა შევიტანოთ გათვითცნობიერება და განათლება მუშათა და გლეხთა ფართო მასებში.

უველი ამის შესრულება შეიძლება მაშინ, როდესაც ჩვენ შეკავშირებული ვიქნებით. ლენინი გვასწავლის, რომ ბურუუაზიის დამარცხება შეუძლებელია ხანგრძლივი, შეუპოვარი. დაუნდობელი ბრძოლის გარეშე, რისთვისაც საჭიროა შეკავშირება, დისციპლინა, სიმტკიცე და ნებისყოფის მთლიანობა. ჩვენც უნდა მივისწავლოთ აქეთკენ. ნორჩ ლენინელთა მოვალეობაა შეამჭიდროონ რიგები, დაირაზმონ ილიჩის დროშის ქვეშ მუშათა და გლეხთა ბავშები. ლენინის გარდაცვალების სამი წლის თავზე უნდა შევამოწმოთ, თუ რა მიღწევები გვაქვს, რის გაკეთება შევძლით, რამდენად სწორედ შევასრულეთ ლენინის ანდერძები და სხვა.

ვისწავლოთ ბრძოლა, ვისწავლოთ ცხოვრება, ამასთანავე დავისახოთ მიზნად შევისწავლოთ ლენინი.

ნოდინ.



ლენინი გადასახლების დროს
(1896 წ.).



ლენინი 1901 წ.



ლენინის ერთი საუკეთესო სურათთაგანი.



ლენინი ლაპარაკობს წითელ მოდანზე, მოსკოვში (1918 წ.).

ლენინი და ლი-ჩანი.

პეკინში არის მრავალი ხალხი,
პეკინში არის სხვადასხვა ქუჩა.
დადის ქუჩებში ისე, ვით ძალი
ვინე ლი ჩანი, ჩინეთის მუშა.
შემდეგ—ყანები. ზედამხედველი
უმასპინლეგბა ლი-ჩანს მათრახით,
მის ზურგზე მოსჩანს იარა მწვევი,
ელვარებს ზურგი სისხლიან დაღით.
იქ, სადაც მოდის სურნელი ჩარ,
ერთხელ ნიავშა დაბერა ნაზად,
გამოჩნდა მეზავრი, შორს მიმავალი,
მას დაუვარდა რ-ლაც გაზეთი.
და ერთი მუშა ბლომად ნაცემი
კითხულობს ამბავს, რომ არ: ს მხარე,
სად ბატონობენ თვითონ მუშები,
და არა ავი მანდარინები
ძველი გაზეთის დამჭენარ ფურცელზე
დახატულია თვითონ ბელადი.
კითხულობს მუშა ჯაღისნურ სახელს,
და ეს სახელი არის: ლენინი.
და საწყალ მუშებს ჩაის ყანებში
გული აევსოთ ახალ იმედით;
ისინი სთხავენ მზიურ ლეგენდებს
და ადიდებენ შორეულ ლენინს.
უნდა დამარტინენ მანდარინები,
ჩაის და ბრინჯის ვრცელ ყანებიდან
იხმობს ლენინი პეკინში მუშებს,
რომ აჯანყებამ დაიგრიალოს.

დღისით სიცემი და მათრახის ქვეშ,
ლამით მუხლებზე დაზიანდები,
ყველა მუშები ფიქრობენ მასზე,
ვისაც რუსეთში ჰქვიან: ლენინი.
მუშები ისე უცქერენ გაზეთს,
ოდნავ მოხუჭულ პორტრეტის თვალებს,
რომ დაავიწყდათ სასტიკი ბედი,
თითქოს ხედავნ წითელ განთიადს.
კვლავ უსახლყაროდ არის ლი-ჩანი,
და ისევ მოხვდა ქალაქ პეკინში.
ირგვლივ ქუჩები, ხმობა, ბრძოები,
მაგრამ აწუხებს უმშილი ლი-ჩანს.
ეს მეგაზეთ რად ჰყვირის ასე?
მის ხმაში არის სხვა ძლილება.
გარდაიცვალა იქ, ჩრდილოეთში,
ოვითონ ბელადი, თვითონ ლენინი.
და ატორტმანდა ლი-ჩანი უცბად,
თვალები სწრაფად მას დაუბნელდა,
იგი ჩამოჯდა სახლის კიბეზე,
რომ არ წაიქცეს სისუსტისაგან.
მოკვდა ლენინი, მოკვდა იმედი.
რა ეშველება ჩინეთის მუშებს?
უნდა ათრიონ თავისი დღენი
ტყვებისა და მათრახების ქვეშ.
მოკვდა ლენინი, ასაჯანყებლად
რომ მოუხმობდა ჩინეთის მუშებს.
ლი-ჩანს არასდროს არ უტირნია,
და აქვითინდა ლი ჩანი ახლა.

მაპა.

სამი შელი ულენინოდ

21 იანვარს სრულდება სამი წელი, რაც გარდაიცვალა მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის და რევოლუციონური მოძრობის დიდი წინამდლოლი—ლენინი.

როდესაც ვმარხავდით ამ. ილის, ჩეენ ყველანი ვამბობდით; მოკვდა ლენინი, მაგრამ ჩეენში მთლიანად ცოცხლობს ის, რაც მან დაგვიტოვა, რისთვისაც იბრძოდა ის.

დღის ჩეენი ვალია ჩაუკვირდეთ, კარგად ვმუშაობთ თუ არა, ვასრულებთ თუ არა მის ანდერს?

ბევრი მსვერტლი გაიღეს მუშებმა და გლეხებმა, რომ ძირიან-ფესვიანად დამხოთ მეფის და მდიდრების მთავრობა. ამხანაგი ლენინი რამდენიმე თევზული წლის განმავლობაში ჰქმნიდა ბოლშევიკურ

პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა შუშებს და გლეხებს. ამ ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს მუშებმა და გლეხებმა გაიმარჯვეს ამხანაგი ილჩის და მის მეტ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, აიღეს ხელისუფლება თავის ხელში, დაიწყეს ჩამოყალიბება ახალი ცხოვრების, ჩამოართვეს მთელი მიწები, ბანკები, ფაბრიკები, მაღაროები და რკინის გზები კაპიტალისტებს. ყველა მშრომელმა მიიღო უფლება საბჭოების საშუალებით მოაწესრიგოს ყველაფერი თავისუფალ სახელმწიფოში. მათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, ვისაც არ სურს თავისი შრომით ცხოვრება, ვერ აირჩევიან საბჭოებში, ისინი ვერც მონაწილეობას ვერ მიიღებენ არჩევნებში.

მთელი ქვეყნიერების მდიდრები და მათი მთავრობები 4 წლის განმავლობაში თავდასხმით გვიშლიდენ ხელს ახალი ცხოვრების შექმნაში. ისინი ძალაუნებურად გვაძრიძოლებდენ, რომ დაგვეცვა მთელ ქვეყნიერებაზე პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა. ამ ომიანობისა და ბრძოლის დროს ძალიან დაეცა საბჭოთა ქვეყანა, უძმისოდაც დავარდნილი ჩვენი მეურნეობა სრულებით დაეცა. სიმშილი, სიცივე, ყოველგვარი ავადმყოფობა განადგურებას უქადა მონაბიძან განთავისუფლებულ ხალხს.


მაგრამ ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირმა ყველა თავდამსხმელი მოიგერია. გათავდა ომი; ილიჩი და მისი ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტია მთელი ძალ-ღონით შეეცადენ, რომ იემშავებიათ ფაბრიკა-ქარხნები, არ დარჩენილიყო დაუთესავი მიწა, რომ სწორედ მუშავებულიყო რეინის გზა, რომ ჩვენი მანეთი ყოფილიყო ნამდვილი მანეთი და არა უფასო ქალალი, როგორც ეს იყო ომიანობის წლებში. ამ მუშაობას შედასი ილიჩმა თვისი უკრასკენელი ძალ ღონებ, მაგრამ სიკვდილის წინ მან დაინახა, რომ საქმე კარგად მიდის. ყოველი წლის და თვის განმავლობაში ჩვენი მეურნეობა მაგრდება. უკვე არ არის სიმშილობა, ამუშავდა ყველა ფაბრიკა-ქარხნები, ზაზრები და დლენები საქმნლით გაიცსო.

მოკვდა ლენინი, მაგრამ მისი პარტია და მასთან ერთად ყველა მუშები განაგრძობდნ მის საქმეს. დიდად წაიწია წინ საბჭოთა ქვეყანამ, დაიწყო შენება ახალი ფაბრიკა-ქარხნების, დაიწყო კომპერატივების გახსნა, სისოფლო-სამეურნეო იარაღის შექენა, ელექტრონის გაყვანა, დაიწყო მუშაობა იმაზე, რომ ყველამ უკეთ იცხოვოს, ვიდრე ძველად, მეფის დროს, ცხოვრობდენ.

მაგრამ ეს ყველაფერი ახალი ცხოვრების შექმნის საქმეში მხოლოდ პირველი ნაბიჯი არის. ძველ დროში მთელი მეცნიერება მხოლოდ მდიდრებისათვის არსებობდა. მუშები და გლეხები, რომ მათ არ შეეგნოთ ცხოვრება, საგანგებოდ ჰყავდათ უმეცრებაში. იმათ არ უნდა გაეგოთ, რატომ ცხოვრობდენ ასე ცუდად. ახალი სოციალისტური ცხოვრება მაშინ დაიწყება, როდესაც თვითეული იდამინი შეგნებული იქნება და შესძლებს ყველაფრის

გაგებას, რაც მის ირგვლივ ხდება. ამისათქმის აუცილებელი და საჭიროა, რომ ყველანი წერა-კითხვის მცირებენი იყვნენ და სისწრაფით შეუდგენ აა საქმეს.

აუცილებელია იგრეთვე ძეტიური მონაწილეობის მიღება ახალი ცხოვრების შექმნაში. წინეთ ყველა ფიქრობდა თავის თავზე, ფიქრობდა, რომ როგორმე გამდიდრებულიყო. ეხლა ასე არ არის: მარტო მაშინ ვიცხოვრებ მე კარგად, როდესაც ყველა კარგად იცხოვრებს, მხოლოდ ყველა მშრომელების გაერთიანებული ძალ-ღონით გავითავისუფლებთ თავს



ძველი, არასასურველი ნაშთებისაგან. თვითეულმა კარგად უნდა გაიგოს, რომ ახალი ცხოვრების შექმნა მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შეიძლება. უნდა შევისწავლოთ კოლექტიური, გაერთიანებული მუშაობა. ვიცხოვროთ არა საკუთარი თავისათვის, არამედ საერთო საქმისათვის.

რა, რასაც გვასწავლიდა ილიჩი, ჩვენში სდული და გვეითხავს ჩვენ: „აბა, მიამბე, რა გააკეთე შენ, რომ დახლოვდეს საათი გამარჯვებისა?! რა გააკეთე შენ, რომ შევქმნათ სოციალისტური ცხოვრება?!“

კარგია, თუ ჩვენ მხიარულად და ერთხმად ვუპასუხებთ: „ჩვენ ვსწავლობთ, რომ გავხდეთ მაგარი, მძლავრი და განვითარებული— ახალი ცხოვრების შენებისათვის! ჩვენ უკვე შევისწავლეთ კარგი ამხანაგობა და საერთო ინტერესებით. ცხოვრება! ჩვენ ყველაფერს შევ სწავლით და მხიარულად, მტკიცედ მივიყვანთ ბოლომდე ჩვენს დაწყებულ სიქმეს.“

8 ცევიტინიძე.

ილიჩის სიცოცხლის გარიშრაზი.

ეროვნული
მთაწილი

კვირა დილით ქვაფენილზე მირბოდა ორი ბი-
ჭი. პირველს ეცვა ნაცრისფერი ქურქი და შარვა-
ლი და იყო ოდნავად ნათელ-ხუჭუჭათმიანი. მეო-
რეს, ტანით უფრო მოზრდილს, ეცვა ლურჯი ხა-
ლათი და ყვითელი ფეხსაცმელები.

პირველი მირბოდა შენობათა კედლების გაყო-
ლებით და ცდილობდა, რაც შეიძლება, მოკლედ
მოექრა გზა; შეორე კი, რომელიც მისდევდა მას, მი-
რბოდა კლაკნილად, ხანდახან ქვაფენილსაც გადასც-
დებოდა ხოლმე და გადარბოდა ქუჩაში; მის ზურგს
უკან დგებოდა მტვრის, კორიანტელი, მაგრამ ნა-
თელ-ხუჭუჭათმიანს მაინც ვერ ეწეოდა.

პირველმა მიირბინა მოხუცან, რომელიც ფრინ-
ველებს ჰყიდდა. სწორედ ეს მოხუცი იყო ამ ბავშვ-
ბის საკამათო საგანი: ვინც ადრე მიირბენდა მასთან,
გამარჯვებული ის დარჩევოდა.

როდესაც მეორე დაეწიო პირველს, ნათელ-ხუ-
ჭუჭათმიანმა უკვე მოასწრო კიდეც რაზე გალიის ყიდ-
ვა. პირველში იყო ერთი და მეორეში კი რაზე ჩი-
ტი.

— წავიდეთ, წავიდეთ, — ძლიერ წარმოსთქვა
სუნთქვაგაბზირებულმა ტანმაღალმა ბავშმა, — წავი-
დეთ ოქროს გვირგვინთან.



გალიის კარი გააღეს.

ოქროს გვირგვინთან, გორაკზე, გაშენებულია
ქალაქის ბაღი. საღამოობით იქ იკრიბებიან მოხელე-
ები, გაღატაკებულ მემამულეთა შვილები, ეკლე-
სიის მგალობელნი, ტელეგრაფისტები და გიმნაზიე-
ლები.

მთელი ეს ხალხი ღამის 11—12 საათისათვის
ამ ბაღს გარდაჭმნის ხოლმე მტვრის საშინელ ნარე-
ვად და ისე ბაზნდებიან ხოლმე ბინებისაკენ, თით-
ქოს რამე საქმით დაქანცულანო.

დილიობით კი ბაღი ცარიელი იყო. სწორედ
ამის გამო აირჩიეს ბავშებმა ეს დრო. ერთს ერქვა
ვალოდია, მეორეს კი, ტანმაღალს, კოლია.

ნათელ-ხუჭუჭათმიანმა, ვალოდიამ, ბაღშიც პირ-
ველმა მიირბინა.

მოსძებნეს ხეხილებით დაჩრდილული ადგილი
და ჩამოსხდენ.

— გავუშვათ!.. წარმოსთქვა ვალოდიამ და თა-
ნაც თავისი ცოცხალი თვალები მხიარულად ააც-
რიალა.

— კარგი, გავუშვათ.

უცბად გალიის კარი გააღდეს და ორი გახარე-
ბული ჩიტი ჟივილ-ხივილით თავისუფლად გაფრინდა.
ერთი ჩიტი თავისი პატარა ფრთით შეეხმ კიდეც ვა-
ლოდიას ქუდს. მესამე ჩიტი კი ბავშვი აღმოჩნ-
და. ის ვალოდიამ ხელში აიყვანა, საკუთარი სუნ-
თქვით ათბობდა და სეამდა მიწაზე, რომ ერბინა;
მაგრამ არაფერი არა შველოდა, როგორც სჩანდა,
ჩიტი სერიოზულად იყო ავად.

შეე კი თავის სხივებს უფრო ამხურვალებდა.

ბაღში მოსეირნეებმა თანდათან იმატეს. ტან-
მაღალმა ბავშმა ფოთლებისაგან დაიწყო გაკეთება
ჯერ სატეატრუნებლების, შემდევ კი სასტევნების.

ვალოდია კი სულ ავადმყოფ ჩიტს ევლებოდა
თავს. მან რაღაც ქურქლით უშოვა წყალი და დი-
დის სიფრთხილით დაუწყო ნისკარტთან მიწოდება.

ტანმაღალმა ბავშმა, რომელიც ვალოდიას მო-
ლოდინში უსტვენდა, ვეღარ მოიამინა:

— დაგდე, წავ-დეთ!..

— არა, დაიცადე! — უპასუხა ნათელ-ხუჭუჭა-
თმიანმა.

ტანმაღალმა ისევ დაიწყო სტენა, ფოთლების
ტკაცუნი და შემდევ ისიც დააცერდა ავადმყოფ
ჩიტს.

— თავი დაანებე მაგას, ეგ თვითონ მოსულიერ-
დება, — მიმათა მეორედ კოლიამ და მკლავშიც მო-
ჰკიდა ხელი.

— იქ დატოვება არ შეიძლება, ვინმე დაიჭერს!..

— იცი რა, მოდი წავიყვანოთ ვოლგის ნაბირ-
თან და ბუჩქებში ჩასვათ. იქ ხელს არავინ ახლებს,
არც რამე სიფათი შეემთხვევა და შეიძლება მორჩეს
კიდეც.

ბავშები ამ აზრზე შეთანხმდენ.

ეხლა უკვე ტანმაღალი მირბოდა წინ, რაღან
მას უნდოდა, რომ ჩიტი რაც შეიძლება მალე მოე-
ურებია თავიდან. ნათელ-ხუჭუჭათმიანი კი უკან



რჩებოდა, სუნთქვით ათბობდა ჩიტს, ეალერსებოდა, არ უნდოდა ჩამოშორება.

* *

დარბაზში სამი სტუდენტი შემოვიდა.

— დანარჩენები სად არიან?.. — იკითხა ერთმა.

— აგერ მოდიან.

მოსიანდა, რომ დერეფანში მოდიოდა შავგვრემანი ტანმალი სტუდენტი, მშვიდი სახისა, რომელსაც გვერდში მოჰყვებოდა ქერათმიანი პირველკურსელი სტუდენტი.

დარბაზს არც კი იყვნენ მოახლოვებულნი, რომ ერთანეთს გაშორდენ. ქერათმიანი, რომელმაც შავგვრემანისაგან რაღაც მოისმინა, გაიქცა ვესტიბულისაკენ.

— სად არიან დანარჩენნი? — შეეკითხა მოახლოვებულ შავგვრემან სტუდენტს დარბაზის კარებთან მდგომი სამი.

— ისინი კლინიკაში იყრიან თავს. მათთან კავშირისათვის გავგზავნე ერთი პირველკურსელი.

— ამბობენ, პარამონვას კრებაზე დასწრება სურსო.

— ეს კარგი აშავია!. როგორ ამოვამტვრევთ გვერდებს?! წამოიძახა შავგვრემანმა.

— მართალია! — ბანი მისცეს დანარჩენებმა. თუ ის ჯაშუში მოვიდა აქ, უსათუოდ უნდა იკეთოს.

მ დროს ვესტიბულიდან არეული ხმები და კალოშების და პალტოების სწრაფი გახდის ხმა მოისმა.

— ამხანაგებო!..

ვესტიბულიდან დერეფანში რამდენიმე ათეული სტუდენტი შემოცვედა. პირველი ჯვუფის წინ მორბოდა ის ქერათმიანი, რომელიც წელან შავგვრემანს მოჰყვებოდა. მან ცველაზე უწინ მოირბინა შავგვრემანთან და გადასცა:

— ერთი ჯვუფი მოდის და მეორე კი დიადიგინთან ერთად კლინიკაში დარჩა. ისინი ჯვუფებად იქრიბებიან და ერთად მოვლენ.

მართლაც, ვესტიბულიდან სულ ახალ-ახალი ჯვუფები მოდიოდა, ისე რომ დარბაზში ასორმოც-დათ კაცამდე შეეკრიბა.

— პარამონვი! — დაიძახა ვიღაცამ — პარამონვი მოდის.

იმავე წუთას კარებში გამოჩნდა უშველებელი ტანის კაცი, შავწვერა და გაიძვერათვალებიანი.

— დაიშალენით! — დაიძახა მან მქუჩარე ხმით.

— სცემეთ მაგას!..

— დაჯარით! — გაისმა პასუხად.

პარამონვის წინ გაჩნდა, შავგვრემან სტუდენტთან ერთად, ქერათმიანი პირველკურსელიც და

მან დაინახა, თუ პარამონვის სახე როგორი სიმზადით დაიხარის მისკენ და იმავე დროს დაინახა ისიც, თუ შავგვრემანის ერთმა დარტყმაში როგორ დააგდო პარამონვი ძირის.

— ძირის მაძებარი ძალლი! — ჰყვიროდენ სტუდენტები და პარამონვის ათოვედენ კარებისაკენ, სადაც კიდევ რამდენჯერმე ჩატვრეს ზურგში.

ამავე დროს დერეფანში გამოჩნდა ჩაცვინულკბილებიანი მოხუცე რექტორი.

— გატონო სტუდენტებო! — დაიწყო მან.

— ჩენ მოვითხოვთ. უნივერსიტეტები. ძირის რეკიმი. სტუდენტები ისე უწესრიგოდ ჰყვიროდენ, რომ რექტორს შეეძლო გამოეტანა მხოლოდ ერთადერთი დასკვნა: ის უნდა წასულიყო.

ასეც მოიქცა.

კლინიკიდან კი სტუდენტები, რაღაც მიზეზის გამო, არ მოდიოდენ.

ნაცემი პარამონვის და რექტორის დარბაზიდან გასვლის მცირე ხნის შემდევ მოისმა ათეულების ფეხის ხმა.

— ალბათ ჩენები არიან, — წამოიძახა ქერათმიანმა.

მაგრამ ის შესცდა: ისინი იყვნენ პოლიციელები ბოჭაულისა და უბნის სამი მეთვალყურის მეთაურობით.

სტუდენტებმა მერყეობა დაიწყეს და ზოგადობება თავი შეაფარეს ცარიელსა და ბნელ დერეფნებს. დარჩა მხოლოდ შეურყცელთა ჯვუფი, დახლოებით ორმოც კაცამდე. ამ ჯვუფში მყოფთა გვარები ჩამოსწერეს, ჩასვეს ეტლები და საპოლიციო უბნებში გაგზავნეს.

— ტყეილია-უბრალოდ ღუპავთ თქვენს თავს, ყმაწვილო! — უთხრა უბნის მეთვალყურემ ქერათმიანს და თანაც ტანხე ხელი მოჰხვია.

მეთვალყურემ, რომელიც მისკენ დაიხარის, აყნოსინა მას სამხედრო შინელის და რევოლვერის ბუდის სუნი.

ამ ახალგაზრდა სტუდენტმა მეთვალყურის ყურადღება მიიპყრო თავისი ახალგაზრდობით, წესრიგიანი ჩაცმულობით და სახის იმ განსაკუთრებული გამოხატულებით, რომლითაც აღნიშნული არიან ხოლმე ის ბავშვები, რომელნიც უფრო განვითარებული არიან, ვიღრე მათ ასაქს შეეფერება და იმავე დროს არ კარგავენ თავიანთ ფიზიკურ სინორჩეს.

სტუდენტის ყავისფერ თვალთა შუბლის ქვეშადან გამოხედვა მის სახეს ისეთ გამომეტყველებას აძლევდა, თითქოს ამ ყმაწვილს ახლო გაეღვიძოს და თითქოს სწორედ ახლა ეგრძნოს დილის ახალი ძალონის მოვარდნა.



— თქვენ, ალბათ, ჯერ კიდევ პირველი კურ-სისთვისაც არ დაგიღწევით თავი, არა? — შეეკითხა მეთვალყურე სტუდენტს.

— ჯერ არა, — უბასუხა მან.

— ტყუილად ღუპავთ თქვენს მომავალ წინსვლას; ხომ სულ ერთია, თქვენს წინაშე კედელია, დასრულებული კედელი.

— ეს მართალია. — ალნიშნა სტუდენტმა თავის პასუხში, — მართლა კედელია, მაგრამ ეს კედელი უკვე დამპალია; მხოლოდ ხელის კვრა არის საჭირო და იგი გადაინგრევა კიდეც.

ეტლი შეჩერდა. საპოლიციო უბანში მივიდენ.

— მობრძანდით! — წარმოსოფელი მეთვალყურემ ფეხზე წამოდგომით.

— გმადლობთ! — უნებლიერ უბასუხა მიპატიშებაზე სტუდენტმა და ეტლიდან მარტად გადმოხტა უკანისკენ და ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი. თოვლი მოდიოდა და, როგორც ზამთარს შეეფერება, ციონდა.



მართლა კედელია, მაგრამ ეს კედელი უკვე დამპალია.

სატუსალოში კარბოლის სიმების სუნი როგორლაც მწვაველ არ იჩენდა თავს, რადგან იქ იყვნენ ის ამხანაგებიც, რომელნიც ქერათმიან სტუდენტთან ერთად დაიჭირეს.

საკანში კამთობდენ და ხმაურობდენ.

საღამოზე ჩამოვარდა ღაბარაკი იმის შესახებ, თუ რას მოიმოქმედებდა თვითეული დაჭირილთაგანი.

— ჯერ ერთი ჩვენ უნივერსიტეტიდან გამოგვრიცხავენ.

— მერე რა?!. — სოქვა ერთმა. ანდა ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, მესამე და მეოთხე კურსზე ვართ, თითქმის ვათავებთ კიდეც და სამუშაოს შონგასაც შევტანებთ; არ, შენ რა უნდა ჰქნა, ჩემი ძმა? ამ სიტყვების შთქმელი შიუბრუნდა ქერათმიან სტუდენტს,

რომელიც ჩამოშვიდარიყო ხის ლოგინზე, უკვე დაუდინებელი ვები მუხლებზე შემოეხვია.

— ან მე რა?! — სოქვა მან. ჩემი გზა ნაჩვენებია ჩემი უფროსი ძმის მიერ.

ეს მან ნელი ხმით წარმოსოფელია. ამ სიტყვებზე თითქმის ყველა ათრთოლდა, ერთმანეთს გადაჭედეს და დაჩუქრდენ.

— ის თქვენი ძმა იყო? — შეეკითხა ერთი ისეთის ხვით, თითქმის არ უნდოდა მისი დაჯერება.

ქერათმიანმა ეს შეეკითხვა უბასუხოდ დასტოა.

* *

სოფელ იანასალაზიდან მათ დაიქირავეს უბრალო მარხილი და გლეხი პეტრე სგობინოვი. ეს გლეხი ამ ორი წლის წინეთ სწორედ იმავე ადგილებში დათვმა დაჰკლიჯა.

მარხილში იჯდა ქალი, დაახლოებით 35 წლისა, თავშალში გახვეული, სახის საქმიანი გამომეტყველებით; მის ხელში საგზაო აბგა ეჭირა. მის გვერდით იჯდა პატარა გოგონა, რომელსაც დედა დიდის მხრუნველობით ახვედა თავისი შალის ნაწილს. ქალის პირდაპირ იჯდა ვაჟი, რომელსაც ეხურა მოქანავეყურებიანი ქუდი. ის შხიარულად გრძნობდა თავს როგორც მწროლავი ქარისაგან, ისე თეთრად დათოვლილი მინდვრებისა და ცივი, მაგრამ საღი ჰაერის გამო; გასცემოდა გათეთრებულ მინდვრებს და ტყეების მთელ წყებას, რაც პორიზონტზე ხავერდის არშიად გამოკრთოდა.

საღამო ხანს, როდესაც საგუბერნიო ქალაქს უახლოვდებოდენ, ვიღაც გამვლელი შეეკითხა გლეხს:

— ვრ მოგვაც?..

პეტრემ ისე ჩაძეროდა მარხილი მის გვერდით, რომ პასუხი არ გაუცია.

— რატომ არ უბასუხებ, პეტრე, თუ ვინ მიყავს? — შეეკითხა ქალის პირდაპირ მჯდომი ქერათმიანი ყმაწვილი.

— მე თითქმის არც კი გამიგონია!..

— მერე რათ მოიქეცი იგრე?..

— წვეიდენ იქით, მერე ლაპარაკს დაიწყებენ.

— რატომ არ ეუბნები, ვანა ვინმე უკანონო მიგყავს?..

— როგორც სხანს, უკანონო: შენ ჩვენ სოფელში გადმოგვზავნეს და შენ კი, აი, ისევ ქალაქში ბრუნდები.

— განა არ იცი, რომ სასჯელი უკვე მომისნეს?.. ნებართვა მოცემულია.

— ეგ კი, მაგრამ... ამ სიტყვებზე გლეხმა კისარის ფხანა დაიწყო. — მაგრამ მაინც ხალხი დაიწყებს ყბედობას.

— არა, პეტრე, ნამდვილად ნებადართულია და შეგიძლია ყველას უთხრა ხოლმე,—ჩაერია ლაპარაკ-ში ქალი.

— ჩუუუ, მშვენიერებო, გასწიით! — გადასძახა გლეხმა ცხენებს და შოლტიც გადუტყულაშუნა.

დედა და შვილი უნებლიერ გაჩუმდა. ნახეს, რომ ვერ დაარწმუნეს ეჭვიანი მეეტლე.

**

ქალაქში ბინა მხოლოდ მეორე დღეს მოინახა; წყნარი და ზურგში მოხრილი მოხუცებული სახლისპატრონი არწმუნებდა მათ, რომ ბინა ექვსი ოთახისაგან შესდგებოდა, მაშინ, როდესაც მასში ნამდვილად ხუთი ოთახი იყო.

— სამაგიეროდ ორი სამზარეულო აქვს!.. არ უნდა დაივიწყოთ ეს,—არწმუნებდა ის.

— სამზარეულო?.. მერე ეგ საზაური ოთახია? — უპასუხებდა ვა წლის ქალი სიტყვების გაჭიანულე-ტურის ბით, მაგრამ გარკვევით.

— ოთახია, სწორედ რომ ოთახია,—ისევ თავისას გაიძახოდა მოხუცი.

— ეგ მართალია, დედა,—სოქვა ტანდაბალმა ქერათმიანმა სტუდენტმა, რომელსაც ტუჩის თავზე უჩნდებოდა პირველი ბუსუსები.

— თქვენ მართალი ხართ,—მიმართა მან მოხუცის,—თქვენი სამზარეულო შეიძლება ოთახად გამოვიყენოთ.

**

მართლაც, ახალგაზრდა სტუდენტი ამ სამზარეულოში დასახლდა, დანარჩენში კი მოეწყვენ მისი დედა, დები და პატარა ძმა.

სამზარეულოს თაროებზე დიდის გულმოლგინეობით დაალაგა თავისი წიგნები; ერთი მათგანი კი მაგიდაზე დასდო და გადაშალა.

წაიკითხა პირველი გვერდი და მერე უშვილი გაიარ-გამოიარა სამზარეულოში. ფიქრები მიმდევად წაიკითხა მეორე. ყოველი ახალი გვერდი მის გონებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.



კითხულობდა წიგნებს.

თითქოს ხელთ ეკავა ის უცნაური გასაღები, რომლითაც თანდათან იხსნება ახალ-ახალი სამყაროები.

ლამ-ლამობით, ხშირად ერთსაღამავე გვერდებს რამდენჯერმე ჰურულავდა, აკვირდებოდა ხოლმე, თითქოს არ უჯეროდა მას.

კითხულობდა და მთელი თავისი ფიქრებით მიჰყვებოდა მისთვის უცნობ ადამიანს, რომელიც შორის იყო მისი სახლიდან, შორს იყო თეთრი და დაუსრულებელი მინდვრებიდან და რომელიც გარდაიცვალა მის მიერ დაუმთავრებელი „კაპიტალი“-ს ფურცლებზე თავდაყრდნობილი.

აროსევი.

ლენინის დაწყებულ საქმეს გამარჯვებით

დააგვირგვინებს კომუნისტური კარტია,—

მუშათა კლასის მოჭინავე რაზე.



სილვერი

V. მიეტა.

ის იყო მიეტა 9 წლისა გახდა, როცა მისი მა-
მა უანდარმის მოკვლისათვის ციხეში ჩასვეს.

შანტეგრელის პროცესმა დიდი აურზაური გა-
მოიწვია.

ბრაკონიერი¹⁾ გამოტყდა მოკვლაში, მაგრამ
დაიფიცა, რომ ჯერ უანდარმა დაუმიზნა მას თოთი.
„მე მხოლოდ დავასწარი, — სთქვა მან, — მე თავს ვი-
ცავდი; ეს ღუჯლი იყო და არა მოკვლა“. სასამარ-
თლოს თავმჯდომარებ ვერასგზით ვერ დაუმტკიცა,
რომ, თუ უანდარმს უფლება აქვს ესროლოს ბრა-
კონიერს, უკანასკნელს ამგვარივე უფლება არა აქვს.
შანტეგრელი გილოტინას²⁾ ასკრდა თავისი წარსუ-
ლი კარგი ყოფა ქვევის გამო. იგი ბავშივით ტირო-
და, როცა, ვიდრე ტულონში³⁾ გაგზავნიდენ, მიე-
ტა მიუყვანეს სანახავად.

მიეტას დედა აღრე გარდაიცვალა და პაპისთან
ცხოვრობდა, სოფ. შავანოზში, სეილის ხეობაში.
როცა ბრაკონიერი გარდაიცვალა, პაპამ და შვილი-
შვილმა მათხოვრობა დაიწყეს. შავანოზის მცხოვ-
რები მონაღირები შველოდენ უბედურებს. მოხუ-
ცი დარღმა გადაიტანა და მიეტა მარტო დარჩა; მას

ისლა დარჩენოდა, რომ გზებზე მოწყალება მოეთხო-
ვა, მაგრამ მეზობლებს მოაგონდათ, რომ მას პლა-
სანში ძალუა ჰყავდა. ერთმა კეთილმა ადამიანმა
წაიყვანა იგი ძალუასთან, რომელმაც მიეტა შეიძუ-
ლა ამ დღიდან და ცუდად ეპყრობოდა.

ევლალია შანტეგრელი, რომელიც ბეჭვეულის
მკერავ რებიუფას ცოლი იყო, მაღალი დედაკაცი
იყო და მთელს ოჯახზე ბრძანებლობდა; მისი მეო-
ხებით იყო, რომ ოჯახი ჰყავოდა.

რებიუფა რომ დაბრუნებისას ბავში დაინახა,
ბურტყუნი დაიწყო, მაგრამ ცოლმა გააჩუმა და თან
უხეშად შენიშნა:

— გოგო მშვენიერი ანაგობისაა; მოსამსახურის
მაგიერობას გაგვიწევს; ვაჭამოთ და ჯამაგირი ამაში
გამოვუქვეითოთ.

ასეთი გეგმა რებიუფს ჰქუმი დაუჯდა, ბავშს
მკლავებიც კი გაუსინჯა და სიამოვნებით განაცხადა,
რომ იგი თავის ასაკთან შედარებით მეტად ღონი-
ერი იყო. მიეტა ამ ღროს 9 წლისა იყო. მეორე
დღიდანვე მუშაობას შეუდგა. სამხრეთში გლეხური
სამუშაო უფრო მსუბუქი და საადვილოა, ვიდრე
ჩრდილოეთში; იშვიათად თუ ამუშავებდნ მიწას და
მამაკაცის მაგიერობას აქ ქალები ეწევიან. ისინი
ძნებს ჰქიავენ და ზეთისხილს და თუთას ჰკრეფენ;
უძნელესი მათი სამუშაო არის კვლების დაკეთება
ბოსტანში.

მიეტა მხიარულად მუშაობდა... ჰაერზე ცხოვ-
რება მოსწონდა და სასარგებლოც იყო მისი ჯან-
მრთელობისთვის,

ვიდრე ძალუა ცოცხალი იყო, მიეტა ბეღნიე-
რიდ გრძნობდა თავს. კეთილ დედაკაცს, მიუხედა-

¹⁾ ბრაკონიერი ეწოდება იმ პირს, რომელიც სხვის
მამულში ნადირობს პატრონის ნებადაურთველად.

²⁾ გილო ტინა — თავსაკვეთი იარალი, რომელსაც ძველად
ხმარობდენ ევროპაში: ჩარჩოში მოძრავი უშველებელი დანა.

³⁾ ქალაქია სამხრ. საფრანგეთში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე.

ვად თვისი სიაწელისა, საკუთარ შეილივით უყვარდა იგი; სცდომბდა სამუშაოთი არ დაეტერთა და ხშირად ამის გამო ქმართანაც კი მოსდომდა უსიამოვნება.

— აა, შენ მოხერხებული ხარ, მაგრამ, სულე-ლო, ნუთუ არ გეყურება, რომ, თუ ძლიერ და-ტერთავ ბავშვს დღეს, ხვალ ილარ გამოგადგება.

რებიუფი ამგვარ საბუთს უტყვად ემორჩილებოდა და ქალიშვილის საზიდი ტვირთი თვითონ მიჰჭონდა.

მიეტა სავსებით ბეღნიერი იქნებოდა ძალუა ევლალიას საიდუმლო მფარველობით, თუ რომ მისი ბიძაშვილი არ აჲკვიატებოდა, რომელიც 16 წლის შესრულდა და იმით ირთობდა თავს, რომ ეზიზლებოდა მიეტა და არ უსვენებდა.

ეიუსტინი უბიდეს სიამოვნების გრძნობდა, როცა უბრალოდ დაასმენდა მიეტას და შენიშვნას მიაღებინებდა; ასეთსავე სიამოვნებას განიცდიდა, თუ როდის ფეხზე ფეხს დააჭვამდა, ან უხეშად წაჰკრავდა ხელს, ვითომ უნებლივედ, და თან იცინოდა. მიეტა კი უყურებდა მას თავისი დიდი შავი თვალებით, რომლებშიც სიამაყე და მრისხნება კროდა, რაც შეაყვენებდა ხოლმე სალახანა ბიჭის ხარხარს: ეიუსტინს ეშინოდა თავისი ბიძაშვილის— მიეტასი.

მიეტა 11 წლის იყო, როცა ძალუა უეცრად გარდაიცვალა და ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა სახლში. რებიუფი, რაც დრო გადიოდა, მოსამსახურესავით ეპყრობოდა საწყალ ქალიშვილს და უმძიმესი სამუშაოთი სტანჯავდა მას. მიუხედავად ამისა, მიეტა მაინც არ სჩიოდა, ეგონა, რომ ვალს იხდიდა.

სალამონბით, დაღლილ-დაქანცული, მწარედ სტიროდა მიეტა თავის ძალუას, ამ საშინელ დედაკაცს, რომლის მაღალ სიკეთეს მხოლოდ ახლა იფასებდა სავსებით. ამასთან მსჯბუქი საქმეც თავს აბეზრებდა მიეტას: მას მოსწონდა ძალ-ლონე საერთოდ და ამიტომ ამაყობდა თავისი დიდი ხელებით და მაგარი მხრებით.

მას აწუხებდა ის, რომ ძია არ ენდობოდა, მუდამ საყვედურით ავსებდა განრისხებული კილოთი.

ამის შემდეგ უცხოდ იგრძნო თავი მან ამ სახლში.

უცხოსაც კი არ მოექცეოდა ადამიანი ისე, როგორც მიეტას ეპყრობოდენ: რებიუფი დაურიდებლივ და შეუბრალებლივ სარგებლობდა თავისი საწყალი პატარა ნათესავი ქალის მდგომარეობით,

შეწყალების გამო აცხოვრებდა მას, რაც, მისი შესრულებული ადვილი გასაგები იყო. ქალი ათჯერ იმაზე შეუტარებდა, რაც ამგვარი სასტიკი შეწყალება ღირდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისე დღე არ გავიდოდა, საჭმელი პური არ დაეყვედრებით.

მეტადრე უიუსტინი არ აძლევდა მოსვენების მიერთ მას შემდეგ, რაც გარდაცვალა დედა და დაინახა, რომ ბავშვი უპატრიონ დარჩა; ის ყოველ ძალ-ლონეს ხმარობდა, რომ ქალის ცხოვრება გაეუარესებია და აუტანელი გაეხადა.

ეიუსტინი მიხვდა, რომ ყველაზე მეტი წამები ქალისთვის მისი მამის შესახებ ლაპარაკი იყო და სწორედ ამ ხერხს მიმართა; საწყალმა გოგონამ, რომელიც ძალუას მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა, არ იცოდა რას ნიშნავდა „საპყრობილე“, „კატორდა“: ძალუა უკრძალავდა ყველას მიეტასთან ამ სიტყვების წარმოთქმას; ეიუსტინმა კი თავისებურად აუხსნა ეს სიტყვები, უამბო უანდარმის მოკვლა და შანტეგრელის განაჩენი, არ გამოტოვა საზიზლარი წვრილმანებიც კი: კატორდელებს ფეხზე მირთვს



რებიუფი მოსამსახურესავით ეპყრობოდა საწყალ მიეტას და უმძიმესი სამუშაოთი სტანჯავდა.

აბამენ და ასე დღეში 15 საათს ამუშავებენ, რის გამო ქანუგამოლეულნი იხოცებიან; საპყრობილე საშინელების იგი მეტად დაწვრილებით უწერდა; მიეტა კი ცრემლმორეული უსმენდა მას. ზოგჯერ ქალს სიბოროტე და მრისხნება იიტანდა უცებ, მუშტებს შეიკუმშავდა და ამ დროს ეიუსტინი უკან იხევდა.

როცა სულ უბრალო რამეზე რებიუფი გაუჯავრდებოდა მიეტას, ეიუსტინი აჲკვებოდა ხოლმე მამის და ბეღნიერად ჰერძნობდა თავს, რომ საშუალება ეძლეოდა უშიშრად ელანძლა ქალი, და როცა მიე-

ტა შეეცვებოდა თავის დაცვას, უიუსტინი ეუბნებოდა: — გაჩუმდი, ხალხი არ სტყუის; შენც მამაშენივით კატორლაში ამოჰყობ თავს.

მიეტა ჭვითინებდა ზარდაცემული, სირცხვილნაჭამი, ძალაგამოლეული; მას თავისი თავიც სამარცხვინოდ მიაჩნდა და მამაც. ხშირად თავლაში იმალებოდა, რომ თავისუფლად ეტირა, არავისთვის არ ეჩვენებია თავისი ცრემლები, თორებ უარესად გააწვალებჯერ; მოიტირებდა რა საკმაოდ, სამზარეულოში დაიბანდა თვალებს და მისი სახე ისევ ჩვეულებრივ გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე.

იმალებოდა იმიტომ, რომ თავის დამცირებად მიაჩნდა, სურდა ბავშვად არავის სჩვენებოდა.

იმ სახლის ჭა, სადაც სილვერი და დეიდა ერთად ცხოვრობდენ, საერთო იყო. ქას-მეიფრენის კედელი შუაზე ჰყოფდა მას. ქასის მცხოვრებთ წყალი ბლომად ჰქინდათ და ამიტომ ზოგჯერ მთელი თვეობით არ სარგებლობდენ ამ ჭით.

კედლის მეორე მხრით კი ბლოკის ჭრიალი ყოველ დილით ისმოდა; სილვერი წყალს იღებდა ჭიდან.

ერთხელ ბლოკი გატყდა; სილვერმა ახალი გააკეთა და ისევ მიაბა ჯაჭვს, რისთვისაც კედელზე ასელა დასკირდა; გაათავა სამუშაო და კედლის თხემს გადააჯდა დასასვენელად, თან მეტის ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდა მეორე მხარეს გადაჭიმულს ქას-მეიფრენის არემარეს.

უცბად მისი ყურადღება ერთმა გლეხქალმა მიიპყრო; ქალი კედლიდან მოშორებით რამდენიმე ნაბიჯზე ბოსტანში ჰმარგლავდა. ბიჭი ცნობისმოყვარე თვალით დაუტერდა ქალს და თან სტყენით კედელზე არახუნებდა სატეხს. უცბად სატეხი ხელიდან გაუსხლტდა, მოხვდა ჭას და კედლის ახლოს დაეცა. სილვერი გადასწვდა ასაღებად, მაგრამ ვერ უწია ხელით, ჩასვლა კი ვერ გაბედა.

მაშინ გლეხქალმა მიანება თავი მუშაობას, აიღო სატეხი და უსიტყვოდ მიაწოდა სილვერს. ქალი ჯერ კიდევ ბავში იყო. ამ ადგილის კედელი თუმცი დაბალი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი იყო და ამიტომ სილვერი გადაწვა კედელზე და ქალი კი ფეხის წვერებზე შედგა. უსიტყვოდ უყურებდენ ისინი ერთმანეთს, შემკრთალნი, მაგრამ მომლიმარნი.

ბიჭს უნდოდა დიდხანს დარჩენილიყო ქალი ამ მდგომარეობაში; ქალშა თავი მალლა ასწია, მისკნ, დიდრონი მუქი თვალები შეანათა.

სილვერმა გამოაჩთვა სატეხი და ამის შემდეგ კიდევ იმ მდგომარეობაში იყვნენ: ქალი ქვევიდან

მაღლა აწეული თავით, ბიჭი კი კედლის ფხეშეცვალებევრად წამოწოლილი; არ იცოდენ, როგორის გამაშემატებლენ ერთმანეთს, არც სიტყვა უთქვამთ რამ; სილვერს მაღლობის გადახდაც გადაავიწყდა.

— რა გქვიან? — ჰკითხა ბიჭმა.



აიღო სატეხი და უსიტყვოდ მიაწოდა სილვერს.

— მარიამი, — უპასუხა ქალმა, — შაგრამ ყველა მიეტას მიწოდებს.

ქალი შეჩერდა და შემდეგ მან ჰკითხა კრიალა ხმით:

— შენ? ..

— მე სილვერი მქვიან, — უპასუხა ვაჟმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე 15 წლისა ვარ, — დაიწყო ისევ სილვერმა, — შენ?

— მე თორმეტისა ვიქენები, — უთხრა მიეტამ. ახალგაზრდა მუშა გაკვირდა.

— უყურე! — სიცილით წარმოსთქვა მან, მე კი დაქალებული მეგონე... როგორი მსხვილი მკალავები გაქვს.

ქალმა გაიცინა და თავის მკლავებს დახედა.

რაკი სილვერმა აღარა ჰკითხა რა, მიეტა მოშორდა და ისევ თავის სამუშაოს შეუდგა თავხალუნული.

სილვერი კადევ რამდენიმე ხანს დარჩა კედელზე. სილვერი მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს. მიეტა თუ არა ქარხანაში, სცდილობდა ძალად აე-ლაპარაკებინა ამხანაგები და ერთი სიტყვაც არა სთქვა მიეტას შეხვედრის შესახებ, მხოლოდ გადაკვ-რით გააგებინა მათ, უას-მეიფრენში ქალიშვილი და-ვინახეო.

— ჰოო! ეგ შანტეგრელია! — წამოიძახა ერთმა მუშამ და თან არც კი დააცადეს სილვერს ხმის ამო-ლება, იმ წამს უმბეს ბრაკონიერ შანტეგრელის და მისი ქალის ისტორია.

მიეტას შესახებ ათასნაირი ბინძური წარმოდგე-ნა ჰქონდათ მათ, ლანძლავდენ მას, თითქოს თავის უშმინდეს მოვალეობად გაეხადნათ საწყალი ქალის შერცხვენა.

ეტლის მკეთებელი ვიანი, სინდისიერი და გულ-კეთილი კაცი, ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა.

— გაჩუმდით, თქვე ჭორიკანებო! — დაჲყვირა მან და ეტლის ხელნა გადააგდო. — არა გრცხვენიათ, ასე რომ ლანძლავთ იმ ბავშა? მეც მინახავს ის და ძლიერ კარგი ბავშა. ამის გარდა გაგებული მაქვს, რომ მეტად მუყაითა და 30 წლის ქალივით მუ-შაობს, ბევრს თქვენისთანა ზარმაჭა სჯობია.

სილვერს, რომელიც მუშების მიერ მიეტას და-ცინვამ და უხევშა ლანძლვამ მეტად ააღელვა, ვია-ნის სიტყვებზე თვალზე ცრემლი მოადგა. ამის შემ-დეგ მას ხმა აღარ ამოუღია, იღლო ჩაქუჩი და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, ბორბლის სოლს დაუშინა.

საღამოთი, შინ რომ დაბრუნდა, სილვერი ისევ აცილდა კედელზე და გუშინდელივით მომუშავე მი-ტა დაანახა; გულმა ვეღარ გაუძლო და დაუძახა.

მიეტა მორცხვი ლიმილით მიუახლოვდა.

— შენ შანტეგრელი ხარ, არა? — უცებ ჰკითხა სილვერმა.

ქალმა უკან დაიხია, თვალები ჩაუშავდა და სას ტიკი გამომეტყველება მიიღო, უნდობლობამ იელვა მის თვალებში.

ნუთუ ეს ბიჭიცა მას ლანძლავს დანარჩენებივით. პასუხი არ გაუცია, ზურგი შეაქცია.

სილვერმა კი საჩაროდ დაუმატა, შეატყო რა უცაბედი გამოცვლა:

— დარჩი, გთხოვ... მე სრულებითაც არ მინდა შენი გაჯავრება... იმდენი რამ მინდა გითხრა...

ქალი უნდობლად მიუახლოვდა.

სილვერი, რომელმაც ამასწინეთ თავის თავს პი-როვა მისცა ყველაფერი ეთქვა მიეტასთვის, გაჩუმ-

და, არ იცოდა საიდან დაეწყო, ეშინოდა არა წამო-ეროშა-რა. ბოლოს მთელი მისი სულიერი მღელვარე-ბა ერთს კითხვაში გამოიხატა:

— გინდა შენი მეგობარი ვიქნები? — ჰკითხა მან თრთოლებული ხმით.

და როცა გაკვირვებულმა მიეტამ შეხედა მას აცრემლებული, მომღიმარი თვალებით, სილვერმა განაგრძო:

— მე ვიცი, რომ შენ შეურაცხუოფას გაყენე-ბენ. უნდა შესწყდეს ეს, მე დაგიცავ ყოველთვის, გინდა?



ახალგაზრდები ყოველდღე ხვდებოდენ ერთმანეთს.

ქალი გაბრწყინდა, თავი დაუჭნია და უთხრა:

— არა, არ მინდა რომ ჩემი გულისთვის იბრძო-ლო: მაშინ ბევრი სამუშაო შეგექნება. ამისთან, არიან ისეთი ადამიანები, რომელთაგან შენ ვერ დამიცავ.

სილვერს უნდოდა დაეყვირა, მთელი ქვეყნის-გან დაგიცავო, მაგრამ ქალი განაგრძობდა:

— ისიც ქარა ჩემთვის, თუ ჩემი მეგობარი იქ-ნები.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე წამი ისაუბრეს ჩემი ხმით. მიეტამ უამბო სილვერს თავისი ბიძისა და ბიძაშვილის შესახებ; ქალს ეშინოდა მათ სილვე-რი არ დაენახათ კედელზე მჯდომი, უიუსტინი ულ-მობელი შეიქნება, რომ დაგვინახოს და გაიგოს ჩვე-ნი ამბავით.

ამის შემდეგ ახალგაზრდები ყოველდღე ხვდე-ბოდენ ერთმანეთს.

ე. ზოლა.

(განგრძობა იქნება)



ჩინგ ალ რინგ ცხოვრობდა იმ დროს, როდე-
საც ავტომობილები ჯერ კიდევ არ იყო გამოგო-
ნილი.

— პალანკინებში სხდებოდენ მდიდრები, ევროპე-
ლები, ლამები.

მაშინ რიკშები დაძრწოდენ პეკინში და საქ-
ვირველიც არ არის, რომ ჩინელი ჩინგ ალ რინგ,
ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის, გაჭირვების იძულე-
ბით მიენდო ამ ხელობას.

მოკლედ: ჩინგ იყო რიკშა.

იმ დღეს ციოდა და სუსხიანი ქარი სჩხვლეტდა
ტანს. ქუჩებიდან, მოედნებიდან, შესახვევებიდან და
ჩინებიდანაც კა გამოჰქროდა იგი და უწყალოდ,
ბრაზმორეული ბობოქრობდა.

ძალიან იშვიათად დადიოდა ჩინგ თავის სახლ-
ში. ეს ხომ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ქალა-
ქის რომელ ნაწილში მუშაობდა იგი.

ამ ღამეს კი ისე ციოდა, რომ ჩინგმა თითქმის
მთელი ქალაქი გადასჭრა და დაღლილი, დაქანცუ-
ლი შევიდა თავის ოთახში, სადაც თრი კვირის გან-
მავლობაში ფეხი არ შეედგა.

დაღლილმა ჩინგმა გააგო იატაკზე ჭილოფი,
ამოიღო თავქვეშ ხე და ის-ის იყო ძილს მიეცა,
რომ უცებ საზარელი, გულსაკლავი, მხეცური ხმა
მოესმა.

ჩინგ არ იყო მშიშარა მან მთვარის შეკთალ
შექმენებით ამოაპრიალი უბიდან მოკაცუჭებული დანა

და თუმცა ჰერცოლებდა, მაინც თამამად გააღო კა-
რი და ხმამაღლა დაიძიხა:

— ჰეი, ვინ არის მანდ?

მრავალფეროვანი ფარნები ბუჟტავდა ქუჩაში,
არავინ არ სჩანდა და საპასუხოდ ქარის სინინი შე-
მოიჭრა ბნელ ოთახში.

ჩინგ შეკრთა და კოტა ხმაღაბლა გაიხეორა:

— ვინ არის?

„არავინაა,“ — გიციქირა.

მართლია, მან ძალიან სწრაფად მიხურა კა-
რები, გარდა კვალებული მამაც კა ახსენი (როგორც
შეტებოდა ყოველი კილის წინ) მაგრამ პატარა
ბიჭუნიას ძილი გაინცრა.

ვინ იყო? რატომ დაიღრიალა? ღრიალი იყო
იგი, თუ კენესა? იქნებ ვინმეს სცემენ? ან შეიძლე-
ბა ხუმრობენ, ჩინგს ატყუებენ? ეჭ, რაც დედა დაკ-
კარგა ჩინგმა, წყნარიდ იღია დასძინებია.

კიდევ გულშემზარევი ხვა.

ჩინგ გაჟივით წამოვარდა ზეზე და გარეთ გა-
ვარდა. მან გაიარ-გამოიარი პაწაწკინა ქუჩაზე და
როცა დაუახლოვდა ფირუზისფერი ფარნით მო-
თულ სახლს, ისევ მოესმა ის ხმა.

ჩინგ ალ რინგმა ფრთხილად ჩიმოჰკრა ზარს.

გაირბინა რამდენიმე წამა და კარები ფრთხი-
ლადვე გაიღო. ჩინგის ტოლა ბიჭმა გააღო კარები და
დაბლა დაუკრა თავი ჩინგს.

ჩინგმაც ასევე უპასუხა: ამას მოითხოვდა ზრდი-
ლობა.

— იარეთ ნელა (ნელა სიარული დიდებულთა საქმეა).

— არა ვარ ლირსი, —უპასუხა ჩინგმა.

მეორე ოთახიდან განმეორდა კივილი და უცნაური რამ მოხდა: მასპინძელს სულმთლად დაავიწყუდა ზრდილობა და თავაზიანობა. მან შაგრად ჩისჭიდა ჩინგს ხელი, მოიწია თავისკენ და ჩურჩულით ჰკითხა:

— თქვენი სახელი?

— ჩინგ ალ რინგ.

— ჩინგ, იქ ჩემი დაა.

— მესმის.

— ჩინგ, იგი ძალიან მახინჯია.

— ჰო?

— თქვენ შეხვალთ და არ შეიმჩნევთ მის სიმახინჯეს.

— კარგი. თქვენი სახელი?

— პტე პაი იო.

პტემ გააღო შემდეგი კარები, ღრმად წელში მოიხარა და სთქვა:

— პტეოსანო სტუმარო, შემობრძანდით.

ჩინგაც დაბლა დახარა თავი და უპასუხა:

— არა ვარ ლირსი, რომ პტერველი შევიდე.

კიდევ ორჯერ მიიპატიუა მასპინძელმა, კიდევ ორჯერ იურა ჩინგმა და შევიდა.

შევიდა თუ არა, გაშეშდა:

მდიდრულად მოწყობილ, წითელი ფარნის შუქით მონაცემ თახში, მუთაქებსა, ბალიშებსა და ჭალოფებს შუა იწევა ძალიან მახინჯი არსება. მისი ნაყვავილარი, თითქოს ავოკორტნილი ცხვირი, კიოხვის ნიშანივით დაკლაკნილი, მისი აი წლის დედაცერსავით ჩიმოთენთალი ლოყები, აბრეშუმის ბალიშებზე გაკულეტოლ ნესტავით გადალერილი თავი, ქათამსავათ გამოკუზული გული, წურბელასავით გრეხელი წარბები, დორბლიანი ტუჩები და ლოქოს ლაყუჩებსავათ ყურამდე გაღაჭიმული პირი საძაგელ შთაბეჭილებას სტოვებლა. მხოლოდ თვალები ჰქონდა იმ არსებას კეთილი, ტანჯული, ჭკვიანი.

პტე პაი იოს და ცამეტი წლისა თუ იქნებოდა.

გოგო იმდენაც მახინჯი იყო, რომ შეხედვის-თანავე უცნაური შიში ისაღვურებდა თქვენში, მაგრამ ჩინგ ალ რინგ გულიდი ბავში იყო.

მართალიც, ყველაფერი ეს შეამჩნია ჩინგმა, მასში ამ სახემ შიშიც და ზიზლიც გამოიწვია, მაგრამ მან მოიქრიბა მთელი თავისი ნებისყოფა, წარსდგა ერთი ნაბიჯი, ისევ ღრმად მოიხარა წელში და სთქვა:

— კეთვლი მასპინძელს.

— მაპატიეთ ავადმყოფს, — მოესმა ქაშპესუხრად მახინჯის ჩახლეჩილი, ხრინწიანი, სხარტის უჭირებული

პტე პაი იო სპილოს ძეალსავით გაფითრებული აყუდებულიყო (ეტყობოდა, პტე ძალიან ღელავდა). ჩინგს ასეთივე ფერი გადაპკროდა. მხოლოდ მახინჯის ლურჯი სახე წითლად განათებულ თახში ისურად მოსანდა.



არა ვარ ლირსი, —უპასუხა ჩინგმა.

როდესაც ჩინგმა შეხედა გოგოს თვალებს, მან ისეთი სიბრალული იგრძნო მისდამი, რომ კინალამ ატირდა, მაგრამ იქაც თავი შეიმაგრა, სიყვარულით შეხედა პტეს დას და ასე დაიწყო თავისი ამბავი:

— მე მევიან ჩინგ ალ რინგ მე სრულიად საწყალი ადამიანი ვარ. მე ვარ რიკშა. დედა, მამა, ძმა — ყველა დავარებე მაშინ, როდესაც შავი ჭირი მძვინვარდა ჰეკინში. ეს მოხდა ორი შემოდგომის წინ. მთელ ჩემს სიცოცხლეში მე სადილი იმდენჯერ არ მიჰმაია, რამდენიც თმა მაბადარა თავზე. მთელ ჩემს სიცოცხლეში მე იმდენჯერ გავყინულვარ სიცივისაგან, რამდენიც თმა მაქვს თავზე. ხანდახან ვირთავების დაჭერა, შეწვა და შეჭმა სანატრელი იყო ჩემი თვის, ხანდახან ფეხების გათბობისათვის ღამებით დაგრძნოდი ქუჩებში, ნერწყვი არასოდეს არ შემრობის ბაგებზე. მე ძალიან ღარიბი ვარ, მაგრამ, მიუხედავად მისა, მე მაინც სიცილის უნარი არ დამკარგვია. მე მაინც ბევრ კორგს, მშვენიერს, გამამხიარულებელს ვხედავ ამ ქალაქ ჰეკინში. აი, მაგალი-

თად: ნამდვილ მუშარ სიმღერის, როდესაც ჩამწერივებიან ტვირთვის ერთომეორესათვის გადაცემის დროს და ერთხმად დასძახებენ ხოლმე, მუშაობას ააყოლებდნ:

— ეჭ, პერი ეჭ, პერი ეჭიო, პერი, პერი... დააღერა ჩინგმა.-ან კიდევ გაზაფხულზე, როდესაც დავინახავ ხოლმე სხვის ბაღში ან მეღუქნესთან ბალს, ალუბალს, რომელიც გემრიელად მიცინის და უხარის მხეს. ან კიდევ რამე წარწერას რომ დავაცერდები ხოლმე, რაღაც უცნაური გრძნობა, თითქოს სიამოვნება, იღვიძებს ხოლმე ჩემში (მე ხომ წერა-კითხვა არ ვიცი). ნუთუ პტეს დას არ სმენია იაღონის სტვენა? ნუთუ პტეს დას არ უნახავს მხის ამოსვლა? ნუთუ არ შესცეკრის ვარს. კლავებს, მთვარეს? ამრტომ მებადება კითხვა, რომ არის პტე პაი იოს და ცუდ გუნებაზე?! მე რო-



ცა მოვდიოდი ქუაში, აი ახლა, მე გავიგონე პტე პაი იოს დის მწეხარე კივილი და გავიფიქრე: „აქ ფირუზისფერ ფარინიან სახლში იღბად ჰშიათ“, მაგრამ, როგორც ვხედავ, ეს ასე არ არის. ამიტომ ვწუხვარ, პტე პაი იო, რომ მე არ ვიცი, თუ როგორ დავხმარო შენ დას.

ავადმყოფმა ისევ დიაკნავლა, მაგრამ ჩინგ მას თვალებში უყურებდა და იქნებ მარტო ეს შველოდა ჩინგს.

— თქვენ ჩვენთან ხშირად ივლით, ჩინგ ალ რინგ?

— არა ვარ ღირსი...

— ტუტ პაი იო, — უკარნახა პტემ.

— ტუტ პაი იო, — სთქვა ჩინგმა.

— თქვენ ჩვენთან ხშირად უნდა მოპრძანდეთ, ჩინგ ალ ჩინგ.

— არა ვარ ღირსი, ტუტ პაი იო ...

— თქვენ ჩვენთან ხშირად უნდა მოპრძანდეთ, ჩინგ ალ რინგ, — ისევ გაიმეორა მახინჯმა და მუდა-რით შეხედა ჩინგს.

— დიდის, დიდის სიამოვნებით, — წარმოიდაბარისგმა, ღრმად დაუკრა თავი ჯერ დას, შელე მშას და წამოვიდა.

შამოპეცვა პტეც და ი რა უთხრა დერეფანში:

— ჩინგ, მე გაგაცილებ.

— კარგი, პტე, მაგრამ შენი და?

— ოო, ეხლა ის შენზე ჰვიკრობს, ჩინგ. ისინი მძიმე ნაბიჯებით გამოვიდენ ქუჩაში.

— ჩინგ ალ რინგ, რით გადაგიხადო! ეს წვალება დიდი ხანია რაც დაიწყო.

— მე ვარ მუშაითი. მუშაითი არ იცი რა არის? ცირკში არ ყოფილხარ? ეს ისეთი კაცია, რომელიც თამაშობს უზ-რმაზარ სიმაღლეზე გაჭიმულ თოკზე: დადის, ტრიალებს, ბურთებს ისვრის, იჭერს. ეს ძალიან ცული ხელობაა, მაგრამ ბევრ ფულს იძლევა. მამამ შექმასწავლა, დედასაც ასწავლა, მაგრამ დედა ერთხელ ჩამოვარდა, ავად გახდა, თითქმის შვიდი თვე ავადმყოფობდა. ეს ამბავი მოხდა გერმანიაში, ბერლინში, და გარდაცვალებისას დაბადა ჩემი დატუტ. მე მაშინ თითქმის წლინახევრისა ვიყავი. მამამ აღვეზარდა, მასწავლა, შემასწავლა ხელობა და, აი, თითქმის ორი კვირე, რაც მე მომიწვიეს აქ, პეკანის ცირკში, მდიდრებისათვის საპატიულოდ. ჩინგ, მე ფული იმიტომ მინდა.... იმიტომ მინდა.... იმიტომ, რომ ეს საჭიროა ჩემი დისთვის.....

ოო, შენ არიცი, ჩინგ ალ რინგ, რა გამოიარა ჩემმა დამ! . მან იცის, რომ იგი მახინჯია და სულ ამაზე ჰვიკრობს. ქუჩაში ღამ-ღამობით თუ გამოვიყვან ხოლმე ხანდახან, ისიც ძალით. დღეს ისე საზარლოდ ჰკიოდა, რომ მე მეგონა სუნთქვა შეეცუბება, დაიხრებობა მეთქი. იგი ხომ არ ტირის, იგი ჰკივის....

ტუტ არავის არ იქარებს. თუმცა ვინ მიეკარება? ტუტ დღეს დაიღალა ტირილით, ვერაფრით ვერ დავამშვიდე და.... ჩინგ!. ერთადერთი საყავარელი არსება ჩემთვის არის ტუტ.... დეე, ეზიზლებოდეს მისი სახე ყველის, მე მაინც ვიცი, რომ ტუტს კეთილი, ნაზი, მოსიყვარულე გულა და ჰკივიანი, ლამაზი თვალები აქვს. გარტო შენ შესძელი მისი დამშვიდება, ჩინგ, და არ ვიცი, რით გადაგიხდო!

— არაფრით, პტე... მხოლოდ ნება მომეცი, რომ ხშირ ხშირად ვიარო თქვენთან. შენ მართალს ამბობ, პტე. ტუტს ნაზი, კეთილი გული აქვს და ლამაზი, ჰკივიანი თვალები. ჩინგმა დაბლა დაუკრა თქე პაი იოს, სწრაფად მოტრიალდა და ჩემი ნაბიჯებით გაშორდა მას. მეტო ველარაფერი უთხრა ჩინგმა: თუმცა ათასი რამ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ცრემლები ყელს მოაწვა.

მხემ უკვე სიკეთით შეღება ჰკივინი, როცა პტე პაი იო ფეხაკრეფით შეკვიდა თვის სახლში. ტუტს მაგრად და მშვიდად ეძინა.

მას შემდეგ ამ ქუჩაზე არავის გაუგონია საზარლოი, გულსაკლავი კივილი.

დ. ანთაძე

გ ა მ თ ა რ ი

შემოძარცული მინდორ-ველები,
თოვლის ფიფქები ცვივა მაღლიდან
და, ვით მოხუცებს თეთრი წვერები,
მთათა ფერდობებს ისე იყრია.

შორის ბამბისფერი წყება ღრუბლების
ცის იალალზე სცურავს ნავებად,
და ეშინიათ წასუბრების,
როცა მზე მაღლით დაენახვებათ.

გადაფრენილმა ფრინვლებმა უკვე
ლამაზ სრიალით სივრცე გასცურეს,—
მზიური ქვეყნის საყვარელ ცის ქვეშ
უკანასკნელიდ ფრთა რომ დასწურეს...

ყინვა იმტვრევა, როგორც შაქარი,
და აჩენს ნემსებს, თითქოს სუსხიანს,

ქარი დაპქრის და დღეს თუ აქ არი,
ხვალ სხვა მხარისთვის მაინც უხვია.

რამდენი სუფრა გადაუშლია
ღია ცისა ქვეშ ზამთარს—მასპინძელს,
ზედაც ბავშები გადაუშვია,—
გაუმართიათ ბრძოლა ასპინძის...

ო, რა ცივი ხარ, თოვლის გუნდაო,
როგორ მიყვარხარ, როგორ გაკეოებ,
თუ შუბლში მოხვდი ვინმეს, უდაოდ
მე შენს სიყვარულს გავიასკეცებ...

არ დაშრებოდე, ნეტავ, არასდროს,
ისე კარგი ხარ, სუფთა, უვნები,
და როს მხურვალე სხივი დაგიძნობს,
შენოვის მზესაც კი დავეძლურები.

ელიზბარ პოლუშორიდვინოვი.

პ ა რ ღ ღ ი ზ პ ნ ე ხ ტ ი

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოღა-
ლატურად მოჰქმდეს კარლ ლიბკნეხტი. ყოველი წლის
15 ინგარს ვიგონებთ ჩევნ ამ დიდ მებრძოლს, რა-
დგანაც მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ახალგაზრ-
დითა მოძრაობის განვითარებაში მეტად დიდია.
ის იყო რევოლუციონური ახალგაზრდობის უდი-
დესი ბელათი.

ამიტომ ყოველმა ახალგაზრდა მუშამ და გლეხ-
ვა უნდა იცოდეს, თუ ვინ იყო კარლ ლიბკნეხტი,
რისთვის იბრძოდა ის და რას შესწირა თავისი სი-
ცოცხლე.

კ. ლიბკნეხტი დაიბადა 1871 წ. ლკვე ბავშო-
ბიდან პატარა კარლი გატაცებული იყო რევოლუციო-
ნური საქმიანობით; გამოჩენილი სოციალისტის
ვილჰელმ ლიბკნეხტის შვილი — კარლი თავიდანვე
იზრდებოდა მუშათა კლასის სიყვარულის და რევო-
ლუციონური თავდადების პირობებში.

1914 წელს, როცა მთელი ქვეყანა თავდავიწ-
ყებით ჩაეხა სისხლის მღვრელ მსოფლიო ფერხულში,
უშიშარი ლიბკნეხტი „გაკარგირდა“ ხმამლია
ემცნ გერმანიის და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი-
სათვის საერთაშორისო ომის ნამდვილი აზრი, მისი
ყაჩაღური გევმები და საშინელი შედეგები.

მუშათა კრებებზე, დემონსტრაციებზე, საიდუმ-
ლო თაბირებზე, იმ დღეებში გაბეღული კარ-
ლი პროტესტის, იღმენოთების და შერისძიების
მოციქულიდ ევლინებოდა გერმანიის პროლეტარიატს.

სოციალისტური ოკულუცია, ას სისხლის კარლი,
რომელიც ცეცხლის ასევებით დაწერა ლიბკნეხტის
1914 წლის სისხლიან დღეებში პროლეტარიატის
დროშას.

დაუნდობელი, შოვინიზმის ბურუსით თავბრუ-
დახვეული გერმანიის რეისტაგი თვითეული გერმა-
ნელისაგან 1914 წელს მოითხოვდა უსიტყვო თავდა-
დებას, უსიტყვო მსხვერპლს.

სისხლის სუნით დამთვრალი ბურუსაზია დაუ-
ზოველიდ სდევნილა ყველას, ვინც ხვას აიმაღლებდა
უმიზნო ქლეტის წინააღმდეგ.

ამ დროს კ. ლიბკნეხტი თვით რეისტაგის
ტრიბუნიდან ბრწყინვალე სიტყვაში აწილებს ბურ-
უსაზიას მრღვალობურ საქმეებში, ხალხის გაუბეღურე-
ბაში, მშრომელთა მოტყუებაში და მოუწოდებს გერ-
მანიის პროლეტარიატს ანტიმილიტარისტული
მოქმედებისაკენ.

როცა გას გამხეცებულმა დეპუტატებმა, დორბ-
ლით პარზე, მიუთითეს დისკიპლინის დარღვევაზე,



კარლ ლიბკნეხტი.

შეუცოვარმა კარლმა უპასუხა: „ჩე მხოლოდ ერთ დისციპლინთ გარ შეზღუდული — ეს არის პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის დისციპლინა“.

კ. ლიბკნეხტი ახალგაზრდათა მოძრაობის სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, კერძოდ შტუდგარდის კონგრესი 1907 წელში, რომელზედაც საფუძველი ჩიყარა ახალგაზრდათა ინტერნაციონალს, ლიბკნეხტის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ბუნებრივია ბურჟუაზიის უსაზღვრო იღმფოთება დაუდგრომელი კარლის წინააღმდეგ.

ვერც მოაბუტის (ზერლინის ყველაზე უფრო მკაცრეებიმიანი ციხე) ცივმა და ოუტანელმა სარდაფებმა, ვერც განუწყვეტელმა დევნამ და ფრონტებზე გადასროლამ ვერ შესძლეს მედგარი კარლის წელში მოხრა.

გაბედულად, მტკიცედ, ქედმოუხრელიდ მიჭირნდა ლიბკნეხტს პროლეტარულ ახალგაზრდობისთან ერთად რევოლუციის დროში.

1918 წლის ნოემბერში გერმანიაში იფეთქა რევოლუციამ, რომელმაც დალეჭა ლიბკნეხტის სატუსაღოს კარებიც. თითქმის ასრულდა ლიბკნეხტის სურვილები; რევოლუციის ტალღამ თითქოს საბოლოოდ წალეკა ვილჰელმის გერმანიის ზღაპრული საშინელებანი.

მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა.

ნოემბრის რევოლუციამ ვერ გაათავისუზღუდული გვთქა მანის მუშათა კლასი! ხელისუფლების სამართლებრივი ლეტარიატის მოღალატეები ჩაუდგენ. ამ ხანებში კ. ლიბკნეხტი კვლავ პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის მოწინავე სანგრებშია, ის კვლავ ხელმძღვანელობს მუშათა კლასის რევოლუციონურ ბრძოლას.

მოღალატე სოციალ-დემოკრატია მაღვ დარწმუნდა მასში, თუ როგორ საფრთხეს უმჯობებდა მას ლიბკნეხტი და მისი მუშაობა. ამიტომ მოსკიდული ჯალათების სისხლიანი ხელებით ბოლო მოუღო მის ბრძოლის უინით და სურვილებით აღნებულ სიცოცხლეს სწორედ მაშინ, როდესაც აჯანყებული გერმანიის მუშათა კლასი გადამწყვეტ ბრძოლის უმართავდა თავის მტრებს. გასთან ერთად მოკლულ იქნა რ. ლუქსემბურგი. ეს მოხდა 1919 წლის 15 იანვარს.

გერმანის და საერთაშორისო ახალგაზრდობას მოუკლეს საუკეთესო ხელმძღვანელი, თავდადებული ბელადი, ნიკიერი მასწავლებელი.

კ. ლიბკნეხტის სახელი — იმედია პროლეტარული ახალგაზრდობის, მისი სახე — მანათობელი ვარსკვლავი ბრძოლის ცეცხლით ანთებული შშრომელი ახალგაზრდობისათვის. ამიტომაც ლიბკნეხტი ცოცხლობს დღემდე საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობისათვის, რომელიც არასოდეს არ დაივიწყებს მას და მის ანდერძს. მის მაგალითზე ჩვენ ვისწავლეთ გამარჯვება.

— 8 —



რობერტ ლუქსემბურგი.

ქოხ-სამკითხველო ო პიონერები

ეროვნული
მიმდინარეობა

პიონერთა საერთო მუშაობის ერთი ამოცანა-
თაგანია გაუღვიძონ ბავშებს წიგნის კითხვისადმი
სიყვარული და ინტერესი. დღემდე ხშირი იყო ისეთი
შემთხვევები, როდესაც ბავშვი, განდებოდა რა პიო-
ნერი, უკვე საჭიროდ არც კი მიაჩნდა წიგნის
კითხვა: აქამ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
საქმიანობა, სკოლა, კოლექტივი, კიდევ სხვა მრავალი
სამუშაოა და წიგნის კითხვისათვის აბა ვის სკალიათ,—
გაიგონებთ ზოგჯერ პიონერებისაგან, მაგრამ ეს არა-
ნორმალური მოვლენაა. კარგა უნდა გვახსოვდეს,
რომ წიგნი არის შრომის პირობების გაუმჯობესების
საუკეთესო იარაღი. მთელი ჩვენი ქვეყანა უნდა ისწრა-
ფოდეს წიგნისადმი, ცოდნისადმი. ის პიონერი, რომე-
ლიც სერიოზულად არ ეკიდება წიგნს, არ ვარგა
ჩვენი ახალი ქვეყნის აღმშენებლად. იგი მომავლის
არავითარ იმდება არ იძლევა. ცუდია ის კოლექ-
ტივი, საღამისაკითხის ამ მხარეს, ე. ი. წიგნის კით-
ხვას, არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება.
მარტინთამაშობებით, სიმღერებით, საზოგადოებრივ-
პრაქტიკული საქმიანობით ვერ უზრუნველყოფთ
მომავალი თაობის სწორ კომუნისტურ აღზრდას.
საჭიროა ცოდნა, ღრმა ცოდნა. ამის გარეშე პიო-
ნერი ვერ გახდება ჩვენი ახალი ქვეყნის მომზადებულ
მოქალაქედ. ზერელობა, მით უფრო მოზარდი თაო-
ბისათვის, შექმნის გონიერის ფუქსავარობას.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს შევაყვაროთ პიონერებს
წიგნი, დავაინტერესოთ იგი ისე, რომ ყოველ წაკით-
ხულ სტრიქონს ღრმად ჩაუკვირდეს და შეისწავლოს.

ჩვენი პიონერები არ არიან მდიდარი წიგნებით
ისე, როგორც, მაგ. კაპიტალისტის შვილები. მათ არ
შეუძლიათ შეიძინონ ყველა წასკითხი წიგნები, მაგ-
რამ ეს დაბრკოლება სრულებითაც არ უნდა გვაში-
ნებდეს. პირიქით, აქაც უნდა ვეძიოთ ჩვენ საზო-
გადოებრივობა და პიონერები მივაჩიროთ ქოხ-სამკი-
თხველოებს. ისინი უნდა სარგებლობდენ კოლექტი-
ურად საზოგადოებრივი ქოხ-სამკითხველოთი.

ლენინი ყოველდღე დაღიოდა ლენინგრადის
სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველოში, საფრანგეთში
ნაციონალურ წიგნსაცავ-სამკითხველოში და შვეი-
ცარიის ყველა საზოგადოებრივ წიგნსათავ-სამკი-
თხველოებში, რაც მან სავსებით გამოიყენა თავისი
ცოდნის გასაღრმავებლად. სხვათა შორის, ქოხ-სამკი-

თხველოების საკითხს უძღვნა განსაკუთრებული წე-
რილი, სადაც ის სწერს ქოხ-სამკითხველოების ფართო
ქსელის საჭიროების შესახებ, „რომელმაც სამსახური
უნდა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის მუშების, ჯარისკაცე-
ბის და გლეხების მთელ მასებს“. ვისაც სურს ლე-
ნინის ანდერძების შესრულება, უნდა ახსოვდეს ლენი-
ნის ეს სიტყვები და გახდეს ქოხ-სამკითხველოს მე-
გობარი.

✓ განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება ამ
გარემოებას პიონერებმა. იმათ უნდა იზრუნონ ქოხ-
სამკითხველოებისათვის, უნდა გახდენ მისი წევრები,
ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი მის შევსებას
წიგნებით და მის კეთილმოწყობას.

არ კმარა, რომ მოვაწყოთ პიონერთა წიგნსაცავ-
სამკითხველო. საჭიროა მოეწყოს მოლიანი საბავშო
წიგნსაცავი, რომელშიც უნდა ჩავაბათ ფართო
მასები. საბავშო წიგნსაცავებთან უნდა მოვაწყოთ
პიონერული წრეები წიგნის მეგობრებისა, რომელთა
მიზანი იქნება საქმის სწორედ დაყენება და ბავშების
ჩაბმა წიგნის კითხვაში.

პიონერმა ქოხ-სამკითხველოში თვალყური უნდა
ადევნოს იმას, თუ რამდენად ინტენსურია ბიბლიოთე-
კაში სიარული. მან უნდა შეასრულოს აგრეთვე ტექ-
ნიკური ხასიათის სამუშაოები: წიგნების დალიგება, და-
გეგმვა, სისუფთავე, კარგიდ მოპყრობა წიგნებისადმი,
პიონერ-კუთხის მოწყობა; იგი აგრეთვე ჰქონის „უკა-
ნასკნელი ცნობები“-ს განყოფილებას, სადაც მსხვი-
ლი შრიფტით სწერს საგულისხმო ცნობებს, აქვეყნებს
ახლად მიღებული საბავშო ლიტერატურის სიას და სხვ.

პიონერები იწესებენ ქოხ-სამკითხველოებში
მორიგეობას — თუ იმას საჭიროება მოითხოვს.

ერთი სიტყვით, პიონერმა დღი სიყვარული
და ზრუნვა უნდა გამოიჩინოს ქოხ-სამკითხველოები-
სადმი. იგი არა მარტო ინტერესებს ბავშთა მასებს
ქოხ სამკითხველოთი, წიგნით, — არამედ თითონაც
სისტემატიურად კითხულობს წიგნს და იჩენს მისდამი
დიდ ინტერესს.

ამგვარად კოლექტივების ამოცანაა შეაყვარონ,
დააინტერესონ პიონერები ქოხ-სამკითხველოები, წიგ-
ნით და შთავაგონობა მათ წიგნის მნიშვნელობა.
ღრმა და სერიოზული კითხვა წიგნის, — აი რა არის
პიონერ-მუშაობის განუყოფელი ნაწილი.

შანი.

ეროვნული
ცაშიკორითი



შურადღება!

(ზესტაფონი)

ზემოხსენებულ ქალაქში რკინის გზის აღგილკომ-
თან დაარსდა ნ. პ. კოლექტივი. პირველად მუშა-
ობა თავის დონეზე იყო, მხოლოდ ბოლოს კი შესუს-
ტდა, რისი გამომწვევი მიზეზი არის აღგილობრივი
ორგანოების უფრადღებობა კოლექტივისადმი. ჩვენ
ვიცით, რომ პიონერების დაინტერესება ორგანიზა-
ციაში მუშაობით შეიძლება სხვადასხვა ხელსაწყოებით
და თამაშობებით, მაგრამ კოლექტივს არ გააჩნია
არც სიგნალი, არც წიგნები, რომლებიც დააინტე-
რესებენ. პიონერებს. ამასაც რომ თავი დავანებოთ,
კოლექტივისათვის საჭიროა ცოცხალი კავშირი პარტ-
უჯრედთან, პროფკავშირებთან. უნდა ჩატარდეს სა-
უბრები კოლექტივში, უნდა იმართებოდეს საბავშო
წარმოდგენები და სხვა. ყველა ამას ზემოხსენებული
კოლექტივი მოკლებულია. საჭიროა პარტ-უჯრედე-
ბი და კომკავშირი. უფრადღებას აქცევდენ მესამე
თაობას, დახმარებას უწევდენ, მუშაობას აცხოვე-
ლებდენ.

3. გოლაძე

სამაგალითო სკოლა

დღევანდელ დღეს დიღი უფრადღება უნდა
მიექცეს მეურნეობის შესწავლას, გასაკუთრებით სკო-
ლებში. ქ. ზესტაფონში რკინის გზის სკოლა განი-
რჩევა ამ მხრივ სხვა სკოლებისაგან: სკოლამ იილო
მიწა, რომელიც დამუშავებულ იქნა მოწაფეების
მიერ, დამყნილ იქნა ხეხილები, სხვადასხვა კულტუ-
რული მცენარეები. ამ საქმეში ყველა მოწაფე აქ-
ტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ბუნებისმეტყვე-
ლების შესწავლის დროს ბაღში ვმუშაობთ, ცდას
ვაწარმოებთ, ე. ი. პრაქტიკულად შევისწივლით ხოლ-

მე ამა თუ იმ მცენარესა და ნიადაგს. თვით სკო-
ლებში მოწყობილი იყო ბუნების კუთხეები, სადაც
ბავშებისაგან გაკეთებული იყო მცენარეების კოლე-
ქციები და ნიადაგის ანალიზები. ყველაფერი ეს
ხდებოდა მასწავლებლების ხელძღვანელობით. ისინი
აინტერესებდენ მოწაფეებს, რომ შეესწავლათ მეურ-
ნეობა, დაახლოვებოდენ ბუნებას. კარგი იქნებოდა,
რომ სხვა სკოლებიც წაბაძავდენ ამ სკოლას.

გ. გოლაძე

ჩვენი მუშაობა.

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის მე-14 კოლექტივი
დიდი ხანია რაც არსებობს.

კოლექტივში არიან ისეთი აქტივისტები, რო-
მელთა მუშაობით კოლექტივი წინ მიდის. კოლექტივი
იყოფა როლებად. მათი მუშაობა დამაკმაყოფილებე-
ლია: პიონერები აკეთებენ მოდელებს, ჰეროვენ და
მონაწილეობას იღებენ კოლექტივის ცოცხალ გაზე-
ში. გამოდის კედლის გაზეთი „რადიო“, რომელიც
აშუქებს როგორც აქაურ პიონერთა ცხოვრებას, ისე
დასავლეთის პიონერებისაც. არის ბიბლიოთეკა, რო-
მელიც აწვდის განვითარებისათვის საჭირო მასალებს
პიონერებს. არსებობს აგრეთვე სანიტარული კომისია,
რომელიც თვალყურს აღევნებს სისუფთავეს, რო-
გორც პიონერთა შორის, ისე კოლექტივშიაც. არის
ცოცხალი გაზეთი, რომელმაც დიდი ხანი არ არის
რაც დაიწყო მუშაობა. მასალები ამ გაზეთისთვის
თვით პიონერებისმა დავამუშავეთ. იმართება საუბრები
და მოხსენებები პიონერების სხვადასხვა საჭირო-
როტო საკითხებზე.

ვუსურვებ ხსენებულ კოლექტივს, რაც ნაკლი
აქვს, ის გამოასწოროს და მტკიცებ შეასრულოს
დაწყებული საქმე.

პიონერი ლ. მარუაშვილი.

შეისწავლეთ თქვენი მხარე.

ადამიანმა დაიმორჩილია ბუნება. ადამიანი იმორჩილებს დროს, სივრცეს, იმორჩილებს ქაცს, წყლის ტალღებსა და ნაკადებს სტაცებს ელექტრონის ენერგიას, დედამიწის, გულიდან ამოაქვს სიმდიდრე.

რა ძლევს ადამიანს ამ ძალას ბუნების დასამორჩილებლად?

ცოდნა.

ცოდნა ბუნებისა, ცოდნა ამ ბუნების კანონებისა, ყოველმხრივ მისი შესწავლა.

ადამიანი ჰქმნის ახალ ცხოვრებას.

ამჯამად მთელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში მშრომელი ხალხი, ცდილობს მოაწყოს ახალი, საუკეთესო ფორმებში ჩამოყალიბებული ცხოვრება, გაიკაფოს გზა სოციალიზმისაკენ.

მაგრამ რა არის ამისათვის სსჭირო?

ცოდნა.

ცოდნა იმ კანონებისა, რომელი კანონებითაც ხდება საზოგადოებრივი განვითარება.

ცოდნა წარსულისა: როგორ ცხოვრობდენ ხალხები, როგორ შრომობდენ, როგორ იბრძოდენ.

ამ ცოდნათა შეკრება, შეთვისება ყოველი ჩვენის მოვალეობაა, განსაკუთრებით კი ეს საჭიროა ჩვენთვის ახლა.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ყოველნაირი ბუნებრივი სიმდიდრით: ძვირფასი ჯიშის ხეებით, ტყეებით, ამონათხარი ნაშთებით, სამკურნალო მცენარეებით, წყლებით და სხ.

ჩვენ ხალხს გრძელი, ბევრსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ისტორიული ეპოქის ნაშეგბი შენახულია ხალხის ჩვეულებებში, ზღაპრებში, ლუგნდებში და ციხე-კოშკების ნანგრევებში და ამავე დროს ჩვენი ქვეყანა ჯერ შესწავლილი არ არის.

წარსული წლების ჩავრა ჰქლავდა ჩვენი ქვეყნის შესწავლის კლასაც კი, ჩვენ კი ახლა გვსურს ახალი ცხოვრება შევქმნათ და შესწავლილი კი არ გვაქვს ჩვენი მხარე.

უნდა შევისწავლოთ, უნდა გავეცნოთ ყოველ მის კუთხეს.

კი არ იფიქროთ, ჩემო ახალგაზრდა მკითხველებო, რომ ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების საქმეა, კი არ იფიქროთ, რომ ეს განსაკუ-

თრებით მძიმე შესისრულებელია. ყოველ თქვენგანს შეუძლია თავისი პატარა წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში

დააკვირდით, როგორ ცხოვრობს გლეხობა, როგორ მუშაობენ, რა ხელობას მისდევენ თქვენ კუთხეებში.

დააკვირდით, რა ჯიშის ტყეებია თქვენში, რა ხორბლეული, რა ბოსტნეული, როგორ მოჰყავთ, როგორ უვლიან მათ.

დააკვირდით, რა ქვებია, რა თიხა თქვენ მოჰყავთ, როგორ მდინარეები წყლები, ჩაქერიან ჩანჩქერები, როგორი ტბებია, რა თევზებია თქვენ წყლებში და როგორ იქრენ.

შეისწავლეთ, როგორი ჩვეულებები და თქმულებანი არის ხალხში დარჩენილი.

გაიცანით ძველი ნანგრევები, და ციხე-სიმაგრეების ნაშთები.

გაიცანით, შეისწავლეთ და რასაც კარგად შეისწავლით, აგვიწერეთ და გამოგვიგზავნეთ უურნალში.

ყველაფერი, რაც ცოტათი მაინც საყურადღებო იქნება, მოთავსებული იქნება უურნალში.

ამნაირად, იმის შესახებ, რაც თქვენ კუთხეში საყურადღებოა, შეიტყობის ჩვენი უურნალის ყველა ნორჩი მკითხველი და უშეალოდ გადმოცემულ მოთხოვებისა და უშეალო შთაბეჭილების მეოხებით ყველანი თანდათან შეისწავლით ჩვენ ქვეყანას.

და, ვინ იცის, იქნება ბევრმა თქვენგანმა დიდი დახვარება გაგვიწიოს ყველას ჩვენი ქვეყნის შესწავლის საქმეში.

და, ბოლოს, ზნე-ჩვეულებების, ბუნების მოვლენებისა და ძველი ნაშთების დაკვირვება შეგაჩვევთ თქვენი მხარის შესწავლის საქმეს. ეს შეჩვევა კი დიდი საქმეა. დაკვირვების უნარი უპირველესი და უმთავრესი საფეხურია ცოდნისა და შემოქმედებისაკენ.

და ასე—დააკვირდით, შეისწავლეთ და სწერეთ თქვენ უურნალში. თუ რამე სიძნელემ შეგიშალოსთ ხელი, ჰყითხეთ რედაქციის რჩევა.

ჩვენ რითაც შეგვიძლია დამარტინო— მუდამ მზად ვართ.

ველით თქვენს წერილებს.

რედაქცია.



ԵՐԵՎԱՆԻ ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻ

Տուրպելու Շըմով Քանօ
Քցեն Տառցել Յո Յոնցը Հո;
Բու Տակից Ոսկը Յօ,
Տամացն Եմու Եղայը!

თვით მხიარული,
სხვასაც ახარებს,
ლენინის სახელს
გაშ რად ატარებს?

მას ესმის თვისი მოვალეობა,
პირნათლად ცდილობს მის ასრულებას;
დილა-ძლიან რომ წამოდგება,
სუკველა ხედავს მისსა მხნეობას!

Ագուղոծներ, հռմ օվեց քարշո թյժքուու,
Ցաշատա յլասո հռմ ման ջակենան!
Ցա՛ լոյնոնյլո հաճ յթուուցիա,
Տայ պազըլուզը ամաս առ օնամի?

ყოველი საქმის წამომზუდია,
იგი, ჯერ კიდევ ნორჩ პიონერი.

საქმეს ბეჯითად რომ ეკიდება,
უაიმეგობრა ამრთი ბევრი!

გაქივრების დროს სხვის მოხმარება
მას ემარჯვება, პაწიას,
ის გაშერალთ ისე მოევლინება,
როგორც მზის სხივი ვარდს, იას!

დოლზე კოხტად ის გარშე უკრავს,
თვისი ჲაყვირით აღვიძებს სოფლებს,
სიყვარულს იწვევს და ალერს,
წითელ დროშის რომ ააფრიალებს!

იმიტომ მიყვარს ნორჩ პიონერი,
რომ იგი არის ყველვან პირველი.
მასზე დიდ იმედს ამყარებს ახლა
ჩვენი საბჭოთა სოფელი!

წითელ ყელსახვევს მე ვეტრფი,
პიონერს, მისსა მტარებელს,
გამბედაობით აღსავსეს,
ჯერ კიდევ პაწა ლენინელს.

მაშ ლენინელო, ნორჩ-პიონერო,
შენ აასრულე დავალებანი,
და გაამართლე სახელწოდება,
მარად მზად იყავ! გელის ბრძოლანი!

ლემაնი

၆၅၃၈၀ၦ.

ზღვის ნიაგმა ცის კაბალონს
შევი ჩაღრი მოახვია,
დიდებულ მხეს დაუნდობლად
პირს ლიმილი მოახია.

მრისხანე ცამ ლრუბელთ გროვას
ცეცხლის შოლტი გადააწნა.
ფერწასული მინდვრის მდელო
მშობელ მიწას ზე დაკვდა.

იქ ტყემ მწარედ დაიკვნესა,
აცახცახდა იქ ვერხვები,
ცა ატირდა და ტყე-ჭალებს
დააფრქვია მან ცრემლები...

დაქრის ქარი, ნიაღვარი
ნანამ უმლერს პაწა ქოხებს,
და ცის ცრემლი, ვერცხლის ცვარი
ეკვრის, კოცნის ვარდის ფოთლებს.

Յոռնյան գոռնջութեան մեծապէս

ნორჩი მებრძოლი



ახალგაზრდა პიონერნო!
წინ გავწიოთ აღმაფრენით,
ჩაგრული და დატანჯული
შვებას ელის მხოლოდ ჩვენით.

წინ წავიდეთ, ერთად ყველა!
გადავხვიოთ ხელი ხელსა,
დავანგრიოთ მტარვალთ ზღუდე,
წიხლი ჩავცხოთ დამჩაგვრელსა.

ნარ-ეკლიან გზაზე ვივლით,
მედგრად წინ, წინ, არ შევშინდეთ,
წითლად მგზნებარ ცეცხლის ზღვაში,
ვით მერცხალნი, ჩვენც შევფრინდეთ.

პიონერნო, ნუ შედრკებით!
თან ვიბრძოლოთ, თან ვისწავლოთ,
რომ მონობა ულმობელი
ბრძოლა-ცოდნით ჩვენ დავამხოთ.
გოგი შატბერაშვილი.

სკოლის მოწავეთა ორგანიზაციას

პიონერთა ამხანაგებო!

„სწავლა, სწავლა და სწავლა“-აი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა დიდმა ბელადმა ლენინმა. თუ ეს ლომზუნგი საჭირო იყო ახალგაზრდა კომკავშირელებისათვის, იგი არა ნაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანია სერთოდ ახალგაზრდობისათვის. ახალი ცხოვრება დიდ დახმარებას მოელის სკოლისაგან სოფლის კულტურის ამაღლების საქმეში. ამ კულტურისთან უშუალოდ დაკავშირებულია მეურნეობის განვითარება.

სკოლის საპროგრამო მუშაობა უშუალოდ უნდა ეყრდნობოდეს ცხოვრებას და მის გაუმჯობესებას. ამ გზით შეტანილი განათლება მისაღები და სასურველი იქნება თვითეული მურნობელისათვის; ამ უშობის ფართოდ ჩატარება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწაფე საქმით განვითარებული იქნება. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჩვენი ახალგაზრდობის წინსვლა-განვითარება სახელმწიფოს მშენებლობის საკითხია. განათლების კომისარიატი ყოველივე ღონისძიებას ხმარობს, რომ რაც შეიძლება მეტი და შინაარსიანი საბავშო ლიტერატური გამოსცეს. ორი ჩვენი უურნალი „ნაკადული“ და „პიონერი“ ორკვირეულ უურნალებად არის გადაკეთებული. საჭიროა ამ უურნალების რაც შეიძლება მეტი გავრცელება. თქვენ, როგორც მოწაფეთა წარმომადგენლებმა, მოწაფეთა შორის პროპაგანდა უნდა გასწიოთ და ინდივიდუალური და კოლექტიური ხელმოწერა უნდა აწარმოოთ. როდესაც ბევრს თქვენგანს ექნება ეს უურნალი ხელში, მაშინ შესაძლებელი გახდება წრეების მოწყობა სხვადასხვა საკითხებში გასარკვევად. თუ დასმულ საკითხებზე უურნალი ვერ გიპასუხებსთ, მოსწერეთ სექციას და შემდეგ ნომერ-შივე მიიღებთ პასუხს, განმარტებას.

შეიძლება ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მუშაობა მოჰყვეს პირველ ცდებს.

რომელი თქვენგანიც შესძლებს ორგანიზაციულად მუშაობის მოწყობას, იმავე უურნალის საშუალებით გაუზიარებს სხვებს და თუ აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყო, ეს უკვე ღილი მიღწევა იქნება. ის სკოლა, რომელიც კარგად გაამრავლებს ამ უურნალებს და შემდეგ კავშირს დაიჭირს პედაგოგიურ სექციასთან, ფრიად დიდ დახმარებას გაუწევს გან. სახ. კომისარიატს.

დაუკვირდით, ამხანაგებო, ჩვენ მომართვის და მოგვეხმარეთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში.

„ნაკადული“ ღირს წელიწადში 3 მ. 50 კ.

„პიონერი“ ” ” 5 მ.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ შეიძლება.


რედაქციის მისამართი: ტფილისი, განათლების კომისარიატი.

სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის თავმჯდომარე: მ. ორახელაშვილი.

სექციის სწავლული მდივანი თ. ბებურიშვილი.

საქართველო
გილდიანი

მასტერის ეჭა ტელეგრაფი



მთელ ქვეყნის რებასთან ლაპარაკი.

რადიომოყვარულება ძალიან ვითარდება ამ უკანასკნელ დროს როგორც მთელ ს. ს. ს. კ-ში, ისე საზღვარგარეთაც.

ამ ორი წლის წინეთ რადიომოყვარულებს შეეძლოთ ლაპარაკი მხოლოდ ახლო მანძილზე. დიდ მანძილზე ლაპარაკი კი შეეძლო მხოლოდ დიდ სახელმწიფო რადიოსადგურებს. რადიოპარატები დოკოდდე უმჯობესდება და ახლა რადიომოყვარულებს შეუძლიათ მთელ ქვეყნის რებასთან იქნიონ უშუალო დამკიდებულება.

ინგლისის ფურნალებში, სწერენ თავიანთი რადიომოყვარულების მიხევებს ამ დარგში. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე მიგალითს ამ ფურნალებიდან.

რადიომოყვარული ტელორა თავის თახში მოწყობილ პატარა რადიოპარატის საშუალებით ისმენდა რადიოს მიერ გადმოცემულ ამბებს ერთი თვის განმავლობაში ჩატარდან, არგენტინიდან, ინდოეთიდან, ფილიპინის კუर्सულებიდან, პალესტინიდან, კანადიდან, შეერთებული შტატების 21-და აფსტრალიის 5 რადიოსადგურიდან, ეგვიპტედან, კუბიდან, იტალიდან, მადეირის კუნძულიდან, ინდონეზიდან, ბრაზილიიდან და სხ.

რადიომოყვარულმა ვილიამსმა მოისმინა ერთი თვის განმავლობაში ინგლისის 47 სადგურიდან, საფრანგეთის 37, გერმანიის 8, ბელგიის 9, პოლონიის 10, მადეირის სადგურიდან, ეგვიპტედან, მაროკოდან, ბრაზილიიდან და სხ.

რადიომოყვარულებმა ტ. და ს. სტიდლეგმ 6 საათის განმავლობაში 5 აპრილს მოისმინეს 170 სადგურიდან. მათ შორის სადგურები შეერთებული შტატების, ბრაზილიის, კანადის, ახლოზელანდიის და სხ.


რადიომოყვარული კლარკი, ჟალ. აბერდინის მცხოვრები, ინგლისიდან ესაუბრა რადიომოყვარულს ა. სანტოსს, ქ. მარინის მცხოვრებს ბრაზილიაში. მანძილი ორ მოსაუბრეს შორის 6000 კილომეტრს უდრის.

ამნაირად ყველა ჩვენგაც საშუალება ეძლევა მთელი ქვეყნიერების ამბავი გაიგოს და თავისი ოთახიდან ესაუბროს მთელ ქვეყნის ძალიან იაფეთასად მოწყობილი პატარა რადიოპარატით.

ინგება ახლოს არის ის დრო, როდესაც რადიო გასწევს ფოსტისა და ტელეგრაფის მაგიერობას.



ავტომობილებით მიმოსელა იქანებენ.
(იხ. „პიონერი“, № 2).



გამოცანები.

ყური დამიგდეთ, გამოიცანით!
შესიკოსია და მომღერალი.
კოლოფი არის დიდრონი მილით
და ფირფიტების უყვარს ტრიალი.

ჩვენ ერთმანეთს ძლიერ ვგავართ
ტანსაცმელით, სახით, მხარით,
როდესაც მე ვიზღვირები,
დალვრემილი ისიც არის.

ყველას ვჭირდები,
შრომას ვუნდები,
მწოლარს თუ შევხვდი,
ჩივარტყავ თავში,
ისიც საჩქაროდ
ძვრება კარივში.
მაქს გრძელი კუდი
და რეინის ქუდი,
ჩემშია ლონე,
ვა, მომიგონე!

შარადა.

ნოტებს ხელი წამოავლე,
გადახედე, ვაღმოხედე,
ქვევიდან მეორე რომ ზის,
მხარზე იგი ვადიკიდე.


ახლა ნაცვალსახელებსაც
ესტუმრე და გაახარე,
შენს საქმილოს თვალი უყავ,
ხელი თავზე წააფარე.

სიტყვა „საღ“ მთლად შეაბრუნე,
საქმეს იზამ სასიკეთოს,
მოისვენებ, მოიფიქრებ,
რაც მიიღე, უთხარ ქეთოს.

ჩვენს კავშირში ზეიმია
გლეხების და მუშებისა,
ევროპაში მშრომელთ სდევენ
რაზები ჯაშუშებისა;

ტანჯულთ კი ჩვენ შევუქმენით
დახმარება—დარიგება,
პიონერო, გამოიცან,
თუ შარადას რა ერგება.

დ. კარბელი.



ამ 15 ნაცრისაგან უნდა ააშენოთ კვადრატი, რომელიც უნდა გამოისახოს ჩატავდეს ჩაქუჩის და ნამგალს.

1927 წ.

გამოვა გამოვა

ორკესტრი საქართველო დასურათებული

— უ ს რ ნ ა ლ ი —

პირნერი

მ ა ლ ი ფ ა ზ ი ॥

მოხსელისათვის

შურალი ს. ს. ს. რ. შველა ს ე რ ლ ე ბ ი ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა .

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ერველი წევ-
რის, ორგანიზაციის ერველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის
თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალიურ-
ბაა გამოიწერონ

= პ ი რ ნ ე რ ი =

მიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომირი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო
კომისარიატი. „პირნერი“-ს და „ნებარული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო პოლევის.